დანართი 8

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გადაწყვეტილება №1/456
2009 წლის 8 დეკემბერი
ქ. თბილისი

სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის
ფორმათა დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 201-ე მუხლის მე-6 ნაწილის, 367-ე მუხლის, 373-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის თანდართული ფორმები:

ა) სარჩელი სამოქალაქო საქმეზე (დანართი 1);

ბ) მოპასუხის პასუხი (შესაგებელი) სამოქალაქო საქმეზე (დანართი 2);

გ) სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე (დანართი 3);

დ) სააპელაციო პასუხი (შესაგებელი) სამოქალაქო საქმეზე (დანართი 4);

ე) საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე (დანართი 5);

ვ) საკასაციო პასუხი (შესაგებელი) სამოქალაქო საქმეზე (დანართი 6);

ზ) სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 7);

თ) მოპასუხის პასუხი (შესაგებელი) ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 8);

ი) სააპელაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 9);

კ) სააპელაციო პასუხი (შესაგებელი) ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 10);

ლ) საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 11);

მ) საკასაციო პასუხი (შესაგებელი) ადმინისტრაციულ საქმეზე (დანართი 12).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის ფორმათა ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 16 იანვრის №1/6 გადაწყვეტილება.

3. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

სარჩელი
სამოქალაქო საქმეზე

იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

მოსარჩელე: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*
ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: *შენიშვნა-5*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

გაითვალისწინეთ! თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან ადვოკატს, წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), იგი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი. აღნიშნული მონაცემების მიუთითებლობის შემთხვევაში სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე და დაგიბრუნებთ სარჩელს, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*	

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საგანი

შენიშვნა-11

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს იურიდიულ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შენიშვნა-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-13

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 *შენიშვნა-15* *შენიშვნა-16*

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

3. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

4. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

5. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

რომელ სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება თქვენი დავა?	
☐ სანივთო სამართლებრივს	☐ სამეწარმეო სამართლებრივს
☐ ვალდებულებით სამართლებრივს	☐ შრომის სამართლებრივს
☐ ინტელექტუალურ საკუთრებას	☐ პირად არაქონებრივს
☐ საოჯახო სამართლებრივს	სხვა

რატომ მიმართავთ სწორედ ამ სასამართლოს? აღნიშნული სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის არეალში მდებარეობს:	
☐ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი	☐ მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელი
☐ მოპასუხის ადგილსამყოფელი	☐ მოთხოვნის უზრუნველმყოფი ნივთი
☐ მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი	☐ უძრავი ნივთი
☐ ხელშეკრულების შესრულების ადგილი	☐ მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი
☐ ადგილი, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო	☐ მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი
☐ იურიდიული პირის ფილიალი	☐ ბავშვის საცხოვრებელი ადგილი
☐ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილი	☐ მშვილებლის საცხოვრებელი ადგილი
☐ მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვ. ადგილი საქართველოში	☐ გასაშვილებელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილი
☐ სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელი	სხვა

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 *შენიშვნა-18* *შენიშვნა-19*

1. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-23

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☐	

სარჩელის ფასი *შენიშვნა-25*	—	ლარი
სახელმწიფო ბაჟი *შენიშვნა-26*	—	ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐ არა ☐
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.		

შენიშვნა-27

ეცადეთ თუ არა სასამართლოსათვის მომართვამდე დავა თავად მოგეგვარებინათ?

დიახ	☐	რა ფორმით?
არა	☐	

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-28

სასამართლო მედიაცია არის დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი სახის კონფლიქტის მოგვარებას მოლაპარაკების გზით, დავაში მონაწილე მხარეთათვის მისაღები პირობებით. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე გადაეცემა მედიატორს, რომელიც არის ნეიტრალური, დამოუკიდებელი და სათანადო უნარებით აღჭურვილი პირი. მედიატორი დიალოგის წარმართვის გზით ეხმარება მხარეებს კონსენსუსის მიღწევაში.
სასამართლო მედიაციის პროცესი არ არის შეზღუდული ფორმალური პროცედურებით. მედიაცია მხარეებს აძლევს განსახილველი საკითხების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. მედიატორსა და მხარეებს უფლება არ აქვთ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას.
სასამართლო მედიაცია მხარეებს აძლევს რესურსების დაზოგვის შესაძლებლობას. მედიაციის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის კუთხით. კერძოდ, ნაცვლად 3%-სა, მხარეს ეკისრება დავის საგნის ღირებულების 1%-ის გადახდა. დავის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მხარეს უბრუნდება გადახდილი ბაჟის 70%.
მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმება სასამართლოს მიერ შეიძლება დამტკიცდეს მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებით და შესაბამისად იგი დაექვემდებარება აღსრულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია წარადგინოს სარჩელი საერთო წესების დაცვით.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე გადაეცეს სასამართლო მედიაციას?

დიახ	☐	
არა	☐	რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან
რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ი სხდომაში რადგან

შენიშვნა-30

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

ხართ თუ არა დადგენილი წესით რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებთ თუ არა საარსებო შემწეობას?		
დიახ	☐	*გთხოვთ, დაურთოთ მტკიცებულება.*
არა	☐	

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-31

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-32 *შენიშვნა-33*

დანართი 1:
დანართი 2:
ფურცლების საერთო რაოდენობა:

სარჩელის ფორმალური გამართულობა

სარჩელის სასამართლოში შეტანისას სასამართლოს კანცელარია ამოწმებს სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს და ახდენს სარჩელის რეგისტრაციას. თუ სარჩელი არ შეესაბამება ქვემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს, სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე და დაგიბრუნებთ სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

		დიახ	არა
1.	სარჩელი წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით.	☐	☐
2.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეგაქვთ სარჩელი.	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), ტელეფონის ნომერი*, ელექტრონული ფოსტა*.	☐	☐
4.	მითითებულია მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი*, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), ტელეფონის ნომერი*, ელექტრონული ფოსტა*.	☐	☐
5.	მითითებულია ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან ადვოკატს, წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა).	☐	☐
6.	მითითებულია დავის საგანი.	☐	☐
7.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☐	☐
8.	მითითებულია სასარჩელო მოთხოვნა.	☐	☐
9.	სარჩელს თან ერთვის თანდართულ დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოდგენილია შუამდგომლობა დოკუმენტის წარმოდგენის გადავადების შესახებ), გვერდების რაოდენობის მითითებით.	☐	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☐	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☐	☐
14.	წარმოდგენილია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.	☐	☐

** ვარსკვლავით აღნიშნული მონაცემის მითითება სასურველია*

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

სასამართლოს კანცელარიის უარი სარჩელის რეგისტრაციაზე ხელს არ უშლის მოსარჩელეს განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აღმოიფხვრება რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება

თუ სარჩელი შეაქვს იურიდიული პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა) ან სარჩელი შეტანილია იურიდიული პირის წინააღმდეგ, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება ფოსტის, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დასტური სასამართლოში წარმოადგინოს 2 თვის ვადაში.

ზემოთაღნიშნულ პირებს სარჩელის მოსამართლისათვის გადაცემიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა მათ მიერ მითითებულ ტელეფონზე ან/და ელექტონული ფოსტის მისამართზე გაეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის გადაცემის თაობაზე.

ელექტორნული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

თუ მოსარჩელე 2 თვის ვადაში საქმის განმხილველ სასამართლოში არ წარადგენს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს ან შუამდგომლობას გზავნილის საჯარო შეტყობინებით გავრცელების შესახებ, სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
ზემოაღნიშნული წესები შესაძლებელია გავრცელდეს ნებისმიერ სხვა პირზეც, მათი თანხმობით.
ასეთ შემთხვევაში სარჩელს სასამართლო განიხილავს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან საჯარო შეტყობინებით მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 1.5 თვისა, 2 თვის ნაცვლად, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე – არა უგვიანეს 3,5 თვისა, 5 თვის ნაცვლად.

მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების წესი

» გზავნილი მოპასუხეს უნდა ჩაჰბარდეს ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან მოსარჩელისათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

» გზავნილი მოპასუხეს უნდა ჩაჰბარდეს პირადად.

» თუ გზავნილის ჩამბარებელმა მოპასუხე ვერ ნახა გზავნილში მითითებულ მისამართზე, იგი გზავნილს აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს.

» მოპასუხის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი გზავნილი უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს.

» გზავნილის მიმღები ვალდებულია გზავნილის ჩაბარებისას აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, ხოლო თუ გზავნილს იბარებს ოჯახის წევრი ან გზავნილი ჰბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით, მაშინ დამატებით უნდა მიეთითოს ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა, რაც დასტურდება გზავნილის მიმღების ხელმოწერით.

» ელექტორნული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

» თუ პირველად გაგზავნისას გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა, გზავნილი მას უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან მოსარჩელისათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

» თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას გააკეთებს გზავნილზე, რომელიც სასამართლოს უნდა წარედგინოს. ასეთ შემთხვევაში გზავნილი ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული წესების დარღვევით ჩაბარებული გზავნილი არ ჩაითვლება ჩაბარებულად.

თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ. ამასთან, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს შუამდგომლობა გზავნილის საჯარო შეტყობინებით გავრცელების შესახებ და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები

თუ არ გამოცხადდით სხდომაზე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თქვენს წინააღმდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავის შესაბამისად.

თუ სხდომაზე არ გამოცხადდით არც თქვენ და არც მოპასუხე მხარე, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

ვალდებული ხართ, გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოთ სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს.

ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს. წარმომადგენელი ვალდებულია, მისთვის უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მოსარჩელეს.

წარმოადგინეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

თუ თქვენ დაესწრებით გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თქვენთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იქნება გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის შესახებ და დააპირებთ გადაწყვეტილების გასაჩივრებას, შეგიძლიათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა აუდრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეთ სასამართლოში და ჩაიბაროთ გადაწყვეტილების ასლი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

სარჩელის შენიშვნები
სამოქალაქო საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი სარჩელი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. მოსარჩელე
მოსარჩელე ხართ თქვენ (ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი), ვისაც მიგაჩნიათ, რომ გაქვთ მართებული მოთხოვნა მოპასუხის მიმართ და სასამართლო წესით ითხოვთ ამ უფლებაში აღდგენას.

2. მოსარჩელის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)
სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ თქვენს ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე). მისამართის შეცვლის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ სასამართლოს.

3. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

4. მოსარჩელის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (ნებისმიერი პირი). თუ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, სარჩელში უნდა მიუთითოთ, როგორც თქვენი და მოპასუხის, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ სარჩელი შეაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი და მოპასუხის, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა სარჩელს უნდა დაურთოს

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

5. მოპასუხე

მოპასუხე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი, რომელმაც მიგაჩნიათ, რომ ხელყო თქვენი უფლება ან/და კანონით დაცული ინტერესი.

6. მოპასუხის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ მოპასუხის ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე).

7. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

8. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი მოსარჩელის, მოსარჩელის წარმომადგენლის ან მოპასუხის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სარჩელის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არაა სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

9. სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

შეგიძლიათ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოთ თქვენი საქმის ზეპირი მოსმენისას მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების ან/და თარჯიმნების მოწვევის თაობაზე. შუამდგომლობებს ეთმობა ცალკე გვერდი, ამ გრაფაში კი უნდა მიუთითოთ მხოლოდ დასაბარებელ პირთა სტატუსი, მათი პირადი და საკონტაქტო მონაცემები.

10. შენიშვნა სასამართლოში დასაბარებელ პირთა სიაზე

ორი ან მეტი დასაბარებელი პირის მითითებისას თითოეული მათგანის სტატუსი, პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სარჩელის სანიმუშო ფორმა).

11. დავის საგანი

დავის საგანი არის თქვენი სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი არსი (მაგ. ზიანის ანაზღაურება, უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, ხელშეკრულების მოშლა).

12. აღიარებითი სარჩელი

აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ. გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ სასამართლოში აღიარებითი სარჩელის მიღების დამატებითი პირობაა იურიდიული ინტერესი, რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა მიუთითოთ იმ (სამართლებრივ) შედეგ(ებ)ზე, რისი მიღწევის უზრუნველსაყოფადაც მიმართავთ სასამართლოს. აღიარებითი სარჩელის აღძვრისას თქვენ მიერ იურიდიული ინტერესის მიუთითებლობის შემთხვევაში სასამართლო უარს

გეტყვით აღიარებითი სარჩელის მიღებასა და განხილვაზე, თუნდაც არსებობდეს სარჩელის მიღების ყველა სხვა წინაპირობა.

13. დავის არსის მოკლე მიმოხილვა

დავის არსის მოკლე მიმოხილვა წარმოადგენს მაქსიმალურად კონკრეტულ და ლაკონურ მითითებას სადავო ურთიერთობის ისტორიაზე. გადმოეცით სარჩელის არსი, ზოგადად ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია სასამართლოსათვის მიმართვის აუცილებლობა და თქვენი რომელი უფლება იქნა დარღვეული. აღნიშნული გრაფის შევსება მიზნად ისახავს სასამართლოსათვის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დავის არსის აღქმასა და მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას. მოცემულ გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 3200 სიმბოლო - 40 ხაზი).

14. დავის ფაქტობრივი გარემოებები (I)

ფაქტობრივი გარემოება არის ერთი კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა თქვენსა და მოპასუხეს შორის სადავო ურთიერთობისას (მაგ. ხელშეკრულების დადება). წინამდებარე გრაფა წარმოადგენს ,,დავის არსის მოკლე მიმოხილვის" ერთგვარ რეზიუმირებას, სადაც პუნქტობრივად უნდა მიუთითოთ იმ კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებიც თქვენ მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად თქვენი მოთხოვნის დასასაბუთებლად და მიზნად ისახავთ, სასამართლოს ყურადღება მიაპყროთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უნდა გახდეს სასამართლო მსჯელობის საგანი და რომელთა დადასტურების შემთხვევაში თქვენი სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებულად ჩაითვლება. თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ, რომელი ფაქტობრივი გარემოებები დაედოს საფუძვლად თქვენს სასარჩელო მოთხოვნას. ამავე დროს, არ მიუთითოთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა ან/და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე. ამგვარ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო არ მიიღებს მხედველობაში.

15. დავის ფაქტობრივი გარემოებები (II)

ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული და თქვენთვის ცნობილი ყველა მტკიცებულების შესახებ. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სარჩელთან ერთად მტკიცებულების წარმოდგენას, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი (,,წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თქვენი სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლად მიჩნევისა და, შესაბამისად, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ალბათობის ხარისხს.

16. დავის ფაქტობრივი გარემოებები (III)

ფაქტობრივი გარემოებები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი გარემოებები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია, გართულდება რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმა და მოვლენის არსის წვდომა, შესაძლებელია, ერთ პუნქტში რამდენიმე გარემოების მითითება. თითოეული ფაქტობრივი გარემოების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ გარემოების შინაარსს და ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს შვიდი ფაქტობრივი გარემოების დასაფიქსირებელი გრაფა. შვიდზე მეტი ფაქტობრივი

გარემოების მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სარჩელის სანიმუშო ფორმა). ფაქტობრივი გარემოების შინაარსის თითოეულ გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

17. სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები (I)

სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის შინაარსს, რაც დაკავშირებულია მოპასუხის მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულებასთან ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებასთან (მიკუთვნებითი მოთხოვნა), რაიმე უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარებასთან (აღიარებითი მოთხოვნა) ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა-გარდაქმნასთან (გარდაქმნითი მოთხოვნა). მოთხოვნის მიუთითებლობა წარმოადგენს სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

18. სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები (II)

სამართლებრივი საფუძვლები არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებზეც ამყარებთ თქვენს სასარჩელო მოთხოვნას. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვა სახის არგუმენტებზე მითითებით. სამართლებრივი საფუძვლები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. სამართლებრივი საფუძვლების მითითება სავალდებულო არ არის, თუმცა გეძლევათ შესაძლებლობა, სასამართლოს თქვენი სამართლებრივი არგუმენტაცია მიაწოდოთ, რათა დაარწმუნოთ იგი თქვენი მოთხოვნის მართებულობაში.

19. სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები (III)

თითოეული სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. სასარჩელო მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად არაბული ციფრებით. თითოეული სასარჩელო მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნასა და მითითებას ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე. მოცემულ ფორმაში არსებობს სამი სასარჩელო მოთხოვნის დასაფიქსირებელი გრაფა. სამზე მეტი სასარჩელო მოთხოვნის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სარჩელის სანიმუშო ფორმა).

20. მტკიცებითი შუამდგომლობები

შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს. მტკიცებითი შუამდგომლობები შეეხება მტკიცებულებებს.

21. მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი

ზემოთ მოცემულია საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა მოწვევის გრაფები. მარცხენა მხარეს იწერება მოსაწვევი მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის სახელი და გვარი, ხოლო მარჯვენა მხარეს - დავის იმ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებსაც მიგაჩნიათ, რომ დაადასტურებენ აღნიშნული პირები.

22. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე

თუკი საპატიო მიზეზის გამო, სარჩელს ვერ ურთავთ მტკიცებულებას, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა მან მოგცეთ გონივრული ვადა მის წარსადგენად. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)წარმოდგენის შეუძლებლობის საპატიო

მიზეზი; (3)გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

23. შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე

თუკი საკუთარი ძალებით ვერ შეძელით მტკიცებულების მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულება იმყოფება, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს იგი. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)დავის იმ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებიც დგინდება ამ მტკიცებულებით; (3)მტკიცებულების მფლობელის სახელი და გვარი (სახელწოდება) და მისი საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი); (4)რა საფუძვლით გეთქვათ უარი მტკიცებულების გადმოცემაზე; (5)რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი, რომ მტკიცებულება თქვენ მიერ მითითებული პირის ხელთაა. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

24. სხვა სახის შუამდგომლობები

ამ გრაფაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ნებისმიერი სხვა სახის შუამდგომლობა (მაგ. საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე). თითოეული შუამდგომლობა უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და მის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

25. სარჩელის ფასი

სარჩელის (დავის საგნის) ფასი არის პროცესუალური ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სასამართლოს სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრაში. სარჩელის ფასის დაანგარიშების წესი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლში.

26. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟი არის შენატანი საქართველოს ბიუჯეტში, სასამართლო პროცესის წარმართვისათვის. სახელმწიფო ბაჟის ოდენობები დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლებით. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკურ პირთათვის 3000 ლარს, ხოლო იურიდიულ პირთათვის - 5000 ლარს. ვალდებული ხართ, სარჩელს დაურთოთ სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მიუთითოთ, რომ კანონი გათავისუფლებთ მისი გადახდისაგან, ან წარმოადგინოთ შუამდგომლობა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან/და გადახდის გადავადების მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს კანცელარია უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე.

27. შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე

შემთხვევები, როდესაც კანონი გათავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თქვენი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებებით), გაგათავისუფლოთ ბაჟის გადახდისაგან, შეგიმციროთ მისი ოდენობა ან გადაგივადოთ გადახდა. პროცესის სხვა ხარჯების (მაგ.

ადვოკატის მოწვევა სახელმწიფოს ხარჯზე) შესახებ შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

28. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე).

29. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დავის სწრაფად გადაწყვეტას, ზოგავს თქვენს დროს და სახსრებს. თქვენი და მოპასუხის თანხმობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მაგრამ არაა ვალდებული, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

30. დრო მთავარი სხდომისათვის და სხდომათა რაოდენობა

მოცემული გრაფის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ თანახმა ხართ, სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. პოზიციის დასაბუთებაში იგულისხმება მთავარი სხდომის უშუალოდ თქვენთვის განკუთვნილი ნაწილი. თუ ირჩევთ 25-ზე მეტ წუთს ან 2-ზე მეტ სხდომას, ვალდებული ხართ, მიუთითოთ, თუ რაში მდგომარეობს თქვენი საქმის სპეციფიკური სირთულე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოსათვის სავალდებულო არაა თქვენ მიერ მითითებული დრო და სხდომათა რაოდენობა.

31. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

32. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, სარჩელს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარმოდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წერილობითი მტკიცებულებები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი მტკიცებულების დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). ნორმატიული მასალის დართვა სარჩელზე მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს სარჩელის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

33. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მოპასუხეც არის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს კანცელარია უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე.

შესაგებელი
სამოქალაქო საქმეზე

იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ შესაგებელი
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

საქმე №		
	მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ, თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.
სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლომ შესაძლოა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*	

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?	
დიახ	☐
არა	☐
ნაწილობრივ	☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 *შენიშვნა-10* *შენიშვნა-11* *შენიშვნა-12*

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 *შენიშვნა-14* *შენიშვნა-15*

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-19

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 *შენიშვნა-21* *შენიშვნა-22*

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა:

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☐	

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-30

სასამართლო მედიაცია არის დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი სახის კონფლიქტის მოგვარებას მოლაპარაკების გზით, დავაში მონაწილე მხარეთათვის მისაღები პირობებით. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე გადაეცემა მედიატორს, რომელიც არის ნეიტრალური, დამოუკიდებელი და სათანადო უნარებით აღჭურვილი პირი. მედიატორი დიალოგის წარმართვის გზით ეხმარება მხარეებს კონსენსუსის მიღწევაში.
სასამართლო მედიაციის პროცესი არ არის შეზღუდული ფორმალური პროცედურებით. მედიაცია მხარეებს აძლევს განსახილველი საკითხების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. მედიატორსა და მხარეებს უფლება არ აქვთ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას.
სასამართლო მედიაცია მხარეებს აძლევს რესურსების დაზოგვის შესაძლებლობას. მედიაციის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის კუთხით. კერძოდ, ნაცვლად 3%-სა, მხარეს ეკისრება დავის საგნის ღირებულების 1%-ის გადახდა. დავის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მხარეს უბრუნდება გადახდილი ბაჟის 70%.
მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმება სასამართლოს მიერ შეიძლება დამტკიცდეს მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებით და შესაბამისად იგი დაექვემდებარება აღსრულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს შეუძლია წარადგინოს სარჩელი საერთო წესების დაცვით.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე გადაეცეს სასამართლო მედიაციას?

დიახ	☐	
არა	☐	რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 *შენიშვნა-32*

დანართი 1:
დანართი 2:
ფურცლების საერთო რაოდენობა:

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ი სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

ხართ თუ არა დადგენილი წესით რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებთ თუ არა საარსებო შემწეობას?		
დიახ	☐	*გთხოვთ, დაურთოთ მტკიცებულება*
არა	☐	

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები

თუ არ გამოცხადდით სხდომაზე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თქვენს წინააღმდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავის შესაბამისად.

თუ სხდომაზე არ გამოცხადდით არც თქვენ და არც მოსარჩელე მხარე, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

ვალდებული ხართ, გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოთ სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს.

ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს. წარმომადგენელი ვალდებულია, მისთვის უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მოპასუხეს.

წარმოადგინეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

თუ თქვენ დაესწრებით გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თქვენთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იქნება გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის შესახებ და დააპირებთ გადაწყვეტილების გასაჩივრებას, შეგიძლიათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა აუდრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეთ სასამართლოში და ჩაიბაროთ გადაწყვეტილების ასლი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შესაგებლის შენიშვნები
სამოქალაქო საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი შესაგებელი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. მოპასუხე
მოპასუხე ხართ თქვენ (ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი), ვისგანაც მოსარჩელე ითხოვს დარღვეულ უფლებაში აღდგენას.

2. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

3. მოპასუხის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (ნებისმიერი პირი). თუ შესაგებლის შემოტანის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, შესაგებელში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ შესაგებელი შეაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა შესაგებელს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

4. საკონტაქტო პირი
საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს

დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

5. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი მოპასუხის ან მოპასუხის წარმომადგენლის არსებობისას თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არაა სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

6. სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

შეგიძლიათ სასამართლოსთან იშუამდგომლოთ თქვენი საქმის ზეპირი მოსმენისას მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების ან/და თარჯიმნების მოწვევის თაობაზე. შუამდგომლობებს ეთმობა ცალკე გვერდი, ამ გრაფაში კი უნდა მიუთითოთ მხოლოდ დასაბარებელ პირთა სტატუსი, მათი პირადი და საკონტაქტო მონაცემები.

7. შენიშვნა სასამართლოში დასაბარებელ პირთა სიაზე

ორი ან მეტი დასაბარებელი პირის მითითებისას, თითოეული მათგანის სტატუსი, პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

8. ცნობთ თუ არა სარჩელს?

სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ ცნობა ან მის ცნობაზე უარის თქმა თქვენი უფლებაა. სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ ცნობის შედეგია სარჩელის დაკმაყოფილება სრულად ან ნაწილობრივ. შესაბამისად, სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სარჩელის სრულად ცნობის შემთხვევაში შეგიძლიათ აღარ შეავსოთ ფორმის მე-3, მე-4 და მე-5 გვერდები. სარჩელის ცნობაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში შესაგებლის ფორმა ექვემდებარება სრულად შევსებას.

9. მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე (I)

ფაქტობრივი გარემოება არის ერთი კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა თქვენსა და მოსარჩელეს შორის სადავო ურთიერთობისას (მაგ. ხელშეკრულების დადება). წინამდებარე გრაფაში ვალდებული ხართ, დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ აირჩიოთ ხუთი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „არ ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „არ ვარ ინფორმირებული"; „საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა"). თუ ფაქტობრივ გარემოებას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი უდავოდ და რა ნაწილში - სადავოდ. ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია, თუკი სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით, ან მიგაჩნიათ იგი საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ.

10. მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე (II)

თქვენი პოზიცია, რომ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით ან მიგაჩნიათ იგი საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ, შესაძლოა ემყარებოდეს სარჩელში მოცემულ მტკიცებულებებს, მათ უარყოფას, დამატებით მტკიცებულებებს ან/და დამატებით ფაქტობრივ გარემოებას. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. თუკი მიგაჩნიათ, რომ სარჩელში მითითებული მტკიცებულება არაა დასაშვები, ამ მტკიცებულების გასწვრივ მიუთითეთ სტანდარტული ტექსტი („მტკიცებულება არ არის დასაშვები, წარმოვადგინე შესაბამისი შუამდგომლობა") და წარმოადგინეთ შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში.

გაითვალისწინეთ, რომ ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული და თქვენთვის ცნობილი ყველა მტკიცებულების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ შესაგებელთან ერთად მტკიცებულების წარმოდგენას, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილების ალბათობის ხარისხს.

11. მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე (III)

თქვენი პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. პოზიციები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათზე თქვენი პოზიციის ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. თითოეული პოზიციის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მის არგუმენტაციასა და ამ არგუმენტაციის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს ხუთი პოზიციის დასაფიქსირებელი გრაფა. ხუთზე მეტი პოზიციის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

12. მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე (IV)

პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა ასახოთ თქვენი მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ თქვენ არ ეთანხმებით სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, ვალდებული ხართ მიუთითოთ ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში, გერთმევათ უფლება, შეასრულოთ ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

13. დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები (I)

გარდა პოზიციისა მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, შეგიძლიათ თავად მიუთითოთ დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით უნდა დასტურდებოდეს შესაგებლის მართებულობა და მოსარჩელის უფლებების დარღვევის ფაქტის არარსებობა. თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ, რომელი ფაქტობრივი გარემოებები დაედოს საფუძვლად თქვენს შესაგებელს სასარჩელო მოთხოვნაზე. ამავე დროს, არ მიუთითოთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა ან/და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე. ამგვარ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო არ მიიღებს მხედველობაში.

14. დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები (II)

ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული და თქვენთვის ცნობილი ყველა მტკიცებულების შესახებ. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ შესაგებელთან ერთად მტკიცებულების წარმოდგენას, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილების ალბათობის ხარისხს.

15. დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები (III)

ფაქტობრივი გარემოებები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი გარემოებები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია, გართულდება რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმა და მოვლენის არსის წვდომა, შესაძლებელია, ერთ პუნქტში რამდენიმე გარემოების მითითება. თითოეული ფაქტობრივი გარემოების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ გარემოების შინაარსს და ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს ორი ფაქტობრივი გარემოების დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი ფაქტობრივი გარემოების მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ფაქტობრივი გარემოების შინაარსის თითოეულ გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

16. საქმის წარმოების შეწყვეტა

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. საქმის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ შეწყვიტოს საქმის წარმოება სარჩელზე. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლში.

17. სარჩელის განუხილველად დატოვება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვოს. სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლში.

18. საქმის წარმოების შეჩერება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურეობრივ მივლინებაში), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ საქმის წარმოება შეაჩეროს. საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე და 280-ე მუხლებში. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა გრძელდება საერთო წესით.

19. შეგებებული სარჩელი

შეგებებული სარჩელი შესაგებელთან ერთად სარჩელისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა შეგებებული სარჩელის წარდგენით თქვენ არა მხოლოდ პასიურად იცავთ თავს სარჩელისაგან, არამედ იმავდროულად თქვენს დამოუკიდებელ მოთხოვნებს აყალიბებთ მოსარჩელის წინააღმდეგ. შეგებებული სარჩელის აღძვრა დასაშვებია საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე. საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადების დასრულებიდან სასამართლო პაექრობის დაწყებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას.

20. მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე (I)

სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის შინაარსს, რაც დაკავშირებულია თქვენ მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულებასთან ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებასთან (მიკუთვნებითი მოთხოვნა), რაიმე უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარებასთან (აღიარებითი მოთხოვნა) ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა-გარდაქმნასთან (გარდაქმნითი მოთხოვნა). ვალდებული ხართ, წინამდებარე გრაფაში დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ თითოეულ მოთხოვნასთან მიმართებით. შეგიძლიათ აირჩიოთ სამი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „არ

ვეთანხმები”). თუ სასარჩელო მოთხოვნას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი მართებულად და რა ნაწილში - უმართებულოდ.

21. მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე (II)

სამართლებრივი საფუძვლები არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებზეც ამყარებთ თქვენს შესაგებელს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვა სახის არგუმენტებზე მითითებით. სამართლებრივი საფუძვლები იურიდიულად უნდა აბათილებდეს სასარჩელო მოთხოვნას. სამართლებრივი საფუძვლების მითითება სავალდებულო არ არის, თუმცა გეძლევათ შესაძლებლობა, სასამართლოს თქვენი სამართლებრივი არგუმენტაცია მიაწოდოთ, რათა დაარწმუნოთ იგი თქვენი შესაგებლის მართებულობაში.

22. მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე (III)

თითოეული შესაგებელი სასარჩელო მოთხოვნაზე და მისი სამართლებრივი საფუძვლები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. თქვენი პოზიცია თითოეულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული პოზიციის ტექსტი შეიცავს უშუალოდ პოზიციასა და მითითებას ამ პოზიციის სამართლებრივ საფუძვლებზე. მოცემულ ფორმაში არსებობს სამი პოზიციის დასაფიქსირებელი გრაფა. სამზე მეტი პოზიციის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

23. მტკიცებითი შუამდგომლობები

შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს. მტკიცებითი შუამდგომლობები შეეხება მტკიცებულებებს.

24. მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი

ზემოთ მოცემულია საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა მოწვევის გრაფები. მარცხენა მხარეს იწერება მოსაწვევი მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის სახელი და გვარი, ხოლო მარჯვენა მხარეს - იმ პოზიციათა ან/და დავის დამატებით ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებსაც, მიგაჩნიათ, რომ დაადასტურებენ აღნიშნული პირები.

25. მტკიცებულების დაუშვებლობა

მტკიცებულებები დაუშვებელია, თუ: (1)საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით; (2)ისინი მოპოვებულია კანონის დარღვევით; (3)მათ საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა. დაუშვებელ მტკიცებულებებს სასამართლო საქმიდან ამოიღებს.

26. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე

თუკი საპატიო მიზეზის გამო, შესაგებელს ვერ ურთავთ მტკიცებულებას, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა მან მოგცეთ გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)წარმოდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზი; (3)გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

27. შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე

თუკი საკუთარი ძალებით ვერ შეძელით მტკიცებულების მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულება იმყოფება, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს იგი. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)იმ პოზიციათა ან დავის დამატებით ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებიც დგინდება ამ მტკიცებულებით; (3)მტკიცებულების მფლობელის სახელი და გვარი (სახელწოდება) და მისი საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი); (4)რა საფუძვლით გეთქვათ უარი მტკიცებულების გადმოცემაზე; (5)რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი, რომ მტკიცებულება თქვენ მიერ მითითებული პირის ხელთაა. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

28. სხვა სახის შუამდგომლობები

ამ გრაფაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ნებისმიერი სხვა სახის შუამდგომლობა (მაგ. საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე). თითოეული შუამდგომლობა უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და მის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

29. მოსამართლის აცილება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მოსამართლე თავადაა დავის მხარე), შეგიძლიათ განაცხადოთ აცილება საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ. მოსამართლის აცილების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებში.

30. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში მიუთითეთ თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე).

31. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, შესაგებელს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარმოდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წერილობითი მტკიცებულებები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი მტკიცებულების დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). ნორმატიული მასალის დართვა სარჩელზე მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს შესაგებლის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

32. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ შესაგებლის და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მოსარჩელეც არის საქმეში.

33. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დავის სწრაფად გადაწყვეტას, ზოგავს თქვენს დროს და სახსრებს. თქვენი და მოსარჩელის თანხმობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მაგრამ არაა ვალდებული, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

34. დრო მთავარი სხდომისთვის და სხდომათა რაოდენობა

მოცემული გრაფის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ თანახმა ხართ, სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. პოზიციის დასაბუთებაში იგულისხმება მთავარი სხდომის უშუალოდ თქვენთვის განკუთვნილი ნაწილი. თუ ირჩევთ 25-ზე მეტ წუთს ან 2-ზე მეტ სხდომას, ვალდებული ხართ, მიუთითოთ, თუ რაში მდგომარეობს თქვენი საქმის სპეციფიკური სირთულე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოსათვის სავალდებულო არაა თქვენ მიერ მითითებული დრო და სხდომათა რაოდენობა.

35. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

სააპელაციო საჩივარი
სამოქალაქო საქმეზე

იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

აპელანტი: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*
ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

აპელანტის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-5*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*	

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-11

სასამართლოს დასახელება:	
განმხილველი მოსამართლე:	
საქმის ნომერი:	
მიღების თარიღი:	

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:	
სრულად	☐
ნაწილობრივ	☐
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-12

სააპელაციო მოთხოვნა:

შენიშვნა-13

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შენიშვნა-14 *შენიშვნა-15*

1. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:
ა.

2. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:
ა.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-16 *შენიშვნა-17* *შენიშვნა-18*

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:	
☐	საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
☐	გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
☐	გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
☐	გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
☐	გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
☐	საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 *შენიშვნა-21*

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☐	

საჩივრის ფასი *შენიშვნა-28*	—	ლარი
სახელმწიფო ბაჟი *შენიშვნა-29*	—	ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☐
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.	

შენიშვნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
10 წუთი რადგან
რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ი სხდომაში რადგან

შენიშვნა-33

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-34

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-35 *შენიშვნა-36*

დანართი 1:
დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	☐	☐
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☐	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	☐	☐
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	☐	☐
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☐	☐
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☐	☐
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☐	☐
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☐	☐
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☐	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლო უფლებამოსილია სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ შეტყობინება გაცნობოთ ტელეფონით, თუ ხარვეზი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 368-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „ზ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის ფორმალურ და არა შინაარსობრივ მხარეს. ასეთი წესით ინფორმირების შემთხვევაში, ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაითვლება ჩაბარებულად სატელეფონო შეტყობინების განხორციელების დღეს და სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები

თუ არ გამოცხადდით სხდომაზე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თქვენს წინააღმდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავის შესაბამისად.
თუ სხდომაზე არ გამოცხადდით არც თქვენ და არც მოწინააღმდეგე მხარე, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.
ვალდებული ხართ, გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოთ სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.
უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს.
ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს. წარმომადგენელი ვალდებულია, მისთვის უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს აპელანტს.
წარმოადგინეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
თუ თქვენ დაესწრებით გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადებას ან თქვენთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იქნება გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების თარიღის შესახებ და დააპირებთ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებას, ვალდებული ხართ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა აუდრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეთ სასამართლოში და ჩაიბაროთ გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააპელაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-37

სააპელაციო საჩივრის შენიშვნები სამოქალაქო საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი სააპელაციო საჩივარი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. აპელანტი
აპელანტი ხართ თქვენ (ყოფილი მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით), ვინც ასაჩივრებთ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

2. აპელანტის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)
სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ თქვენს ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე). მისამართის შეცვლის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ სასამართლოს.

3. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

4. აპელანტის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (მხოლოდ ადვოკატი). თუ სააპელაციო საჩივრის აღძვრის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, სააპელაციო საჩივარში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი და მოწინააღმდეგე მხარის, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი და მოწინააღმდეგე მხარის, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე

დროს, წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა (ორდერი), ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). ადვოკატი ვალდებულია, წარმოადგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც.

5. მოწინააღმდეგე მხარე

მოწინააღმდეგე მხარე არის ყოფილი მოსარჩელე, მოპასუხე ან/და მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ვის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებთ სააპელაციო წესით.

6. მოწინააღმდეგე მხარის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ მოწინააღმდეგე მხარის ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე).

7. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

8. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი აპელანტის, აპელანტის წარმომადგენლის ან მოწინააღმდეგე მხარის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სააპელაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არაა სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

9. სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

შეგიძლიათ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოთ თქვენი საქმის ზეპირი მოსმენისას მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების ან/და თარჯიმნების მოწვევის თაობაზე. შუამდგომლობებს ეთმობა ცალკე გვერდი, ამ გრაფაში კი უნდა მიუთითოთ მხოლოდ დასაბარებელ პირთა სტატუსი, მათი პირადი და საკონტაქტო მონაცემები.

10. შენიშვნა სასამართლოში დასაბარებელ პირთა სიაზე

ორი ან მეტი დასაბარებელი პირის მითითებისას, თითოეული მათგანის სტატუსი, პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სააპელაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა).

11. გასაჩივრებული გადაწყვეტილება

ამ გრაფაში ვალდებული ხართ, მიუთითოთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება, კერძოდ, მიმღები სასამართლო, საქმის განმხილველი (მომხსენებელი) მოსამართლე, საქმის ნომერი და გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება გახდეს სასამართლოს ის განჩინებებიც, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

12. გადაწყვეტილების გასაჩივრება

ვალდებული ხართ, მიუთითოთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სრულად ასაჩივრებთ თუ ნაწილობრივ. ნაწილობრივი გასაჩივრებისას მიუთითეთ სარეზოლუციო ნაწილის იმ პუნქტებზე, რომელთაც სადავოდ ხდით და დეტალურად დააზუსტეთ საჩივრის მოცულობა თითოეულ ამ პუნქტთან მიმართებით, რადგან სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს (გააუქმოს) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც თქვენ მოითხოვთ.

13. სააპელაციო მოთხოვნა

ამ გრაფაში უნდა მიეთითოს, თუ კონკრეტულად რას ითხოვთ. სააპელაციო მოთხოვნა შეიძლება იყოს: (1)გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება; (2)გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება; (3)გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებული გადაწყვეტილების ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება; (4)გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებული გადაწყვეტილების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება. გაითვალისწინეთ, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

14. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები (I)

სააპელაციო საჩივარი შესაძლებელია ემყარებოდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობას. ფაქტობრივ უსწორობაზე მითითებისას შეგიძლიათ აღნიშნოთ, რომ სასამართლომ ფაქტობრივი გარემოება: (1)არასწორად მიიჩნია უდავოდ; (2)არასწორად არ მიიჩნია უდავოდ; (3)არასწორად მიიჩნია დადგენილად; (4)არასწორად არ მიიჩნია დადგენილად; (5)არასწორად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ; (6)არასწორად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ. ფაქტობრივი უსწორობა შესაძლოა ემყარებოდეს უკვე წარმოდგენილ ან ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, ან მათ უარყოფას. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. ახალი მტკიცებულების წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო საჩივარს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თქვენი სააპელაციო მოთხოვნის დაუსაბუთებლად მიჩნევისა და, შესაბამისად, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ალბათობის ხარისხს.

15. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები (II)

ფაქტობრივი უსწორობები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი უსწორობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. ერთ პუნქტად რამდენიმე ფაქტობრივი უსწორობის მითითება შეიძლება, თუ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ისინი ერთ პუნქტშია მოქცეული. თითოეული ფაქტობრივი უსწორობის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ უსწორობის შინაარსს და ამ უსწორობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. თუ ხდება მითითება სხდომის ოქმზე, აუცილებლად უნდა მიეთითოს დროის ის მონაკვეთი, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვან გარემოებაზეა საუბარი. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს ორი ფაქტობრივი უსწორობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი ფაქტობრივი უსწორობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა).

16. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (I)

ფაქტობრივი გარემოება არის ერთი კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა თქვენსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის სადავო ურთიერთობისას (მაგ. ხელშეკრულების დადება). სააპელაციო სასამართლო ახალ

ფაქტობრივ გარემოებას მიიღებს, თუ თქვენ, საპატიო მიზეზის გამო, არ შეგეძლოთ მასზე მითითება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნევის შემთხვევაში, იურიდიულად უნდა ამართლებდეს თქვენს სააპელაციო მოთხოვნას. თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ, რომელი ახალი ფაქტობრივი გარემოებები დაედოს საფუძვლად თქვენს სააპელაციო მოთხოვნას. ამავე დროს, არ მიუთითოთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა ან/და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე. ამგვარ ახალ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო არ მიიღებს.

17. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (II)

ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ახალი ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული და თქვენთვის ცნობილი (მათ შორის, საქმეში არსებული) ყველა მტკიცებულების შესახებ. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. ახალი მტკიცებულების წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო საჩივარს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თქვენი სააპელაციო მოთხოვნის დაუსაბუთებლად მიჩნევისა და, შესაბამისად, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ალბათობის ხარისხს.

18. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (III)

ახალი ფაქტობრივი გარემოებები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი გარემოებები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია, გართულდება რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმა და მოვლენის არსის წვდომა, შესაძლებელია, ერთ პუნქტში რამდენიმე გარემოების მითითება. თითოეული ახალი ფაქტობრივი გარემოების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ გარემოების შინაარსს, მიუთითებლობის საპატიო მიზეზს და ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს პირველი ახალი ფაქტობრივი გარემოების დასაფიქსირებელი გრაფა. ერთზე მეტი ახალი ფაქტობრივი გარემოების მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა). ახალი ფაქტობრივი გარემოების შინაარსის გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

19. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუკი არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. ერთი ან რამდენიმე აბსოლუტური საფუძვლის უბრალო მონიშვნის შემდეგ ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ მათი ნამდვილობა.

20. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები (I)

სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ (1)არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; (2)გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; (3)მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო

სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვა სახის არგუმენტებზე მითითებით. სამართლებრივი საფუძვლები იურიდიულად უნდა ამართლებდეს თქვენს სააპელაციო მოთხოვნას.

21. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობა (II)
თითოეული სამართლის ნორმის დარღვევაზე უნდა მიუთითოთ კონკრეტულად, ნათლად, ამომწურავად და ლაკონურად. თითოეული სამართლის ნორმის დარღვევა მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

22. მტკიცებითი შუამდგომლობები
შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს. მტკიცებითი შუამდგომლობები შეეხება მტკიცებულებებს.

23. მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი
ზემოთ მოცემულია საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა მოწვევის გრაფები. მარცხენა მხარეს იწერება მოსაწვევი მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის სახელი და გვარი, შუა გრაფაში იმ ფაქტობრივ უსწორობათა ან/და ახალ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებსაც მიგაჩნიათ, რომ დაადასტურებენ აღნიშნული პირები, ხოლო მარჯვენა მხარეს - საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ იყვნენ ისინი წარმოდგენილი საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას ან რატომ გახდა აუცილებელი მათი ხელახალი გამოძახება.

24. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე
ამ გრაფაში იწერება შუამდგომლობები ახალ წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა დაშვების თაობაზე. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ მტკიცებულებას, რომელიც თქვენ შეგეძლოთ წარგედგინათ პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინეთ. ამასთან, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ ახალ მტკიცებულებებს მიიღებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

25. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე
თუკი საპატიო მიზეზის გამო, სააპელაციო საჩივარს ვერ ურთავთ ახალ მტკიცებულებას, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა მან მოგცეთ გონივრული ვადა მის წარსადგენად. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)წარმოდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზი; (3)გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

26. შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე
თუკი საკუთარი ძალებით ვერ შეძელით ახალი მტკიცებულების მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულება იმყოფება, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს იგი. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)დავის იმ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებიც დგინდება ამ მტკიცებულებით; (3)მტკიცებულების მფლობელის სახელი და გვარი (სახელწოდება) და მისი საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი); (4)რა საფუძვლით გეთქვათ უარი მტკიცებულების გადმოცემაზე; (5)რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი, რომ მტკიცებულება თქვენ მიერ მითითებული პირის ხელთაა. თითოეულ

ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

27. სხვა სახის შუამდგომლობები

ამ გრაფაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ნებისმიერი სხვა სახის შუამდგომლობა (მაგ. საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე). თითოეული შუამდგომლობა უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და მის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

28. საჩივრის ფასი

საჩივრის (დავის საგნის) ფასი არის პროცესუალური ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სასამართლოს სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრაში. საჩივრის ფასი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ზომით ითხოვთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლას. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სააპელაციო საჩივარი ქონებრივ–სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 (ათას) ლარს.

29. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟი არის შენატანი საქართველოს ბიუჯეტში, სასამართლო პროცესის წარმართვისათვის. სახელმწიფო ბაჟის ოდენობები დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლებით. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო სასამართლოში შეადგენს საჩივრის (დავის საგნის) ფასის 4%-ს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. ამასთან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკურ პირთათვის 5000 ლარს, ხოლო იურიდიულ პირთათვის - 7000 ლარს. ვალდებული ხართ, სააპელაციო საჩივარს უნდა დაურთოთ სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მიუთითოთ, რომ კანონი გათავისუფლებთ მისი გადახდისაგან, ან წარმოადგინოთ შუამდგომლობა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან/და გადახდის გადავადების მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს სააპელაციო საჩივარზე დადგინდება ხარვეზი და სასამართლო არ მიიღებს მას წარმოებაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრამდე.

30. შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე

შემთხვევები, როდესაც კანონი გათავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თქვენი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებებით), გაგათავისუფლოთ ბაჟის გადახდისაგან, შეგიმციროთ მისი ოდენობა ან გადაგივადოთ გადახდა. პროცესის სხვა ხარჯების (მაგ. ადვოკატის მოწვევა სახელმწიფოს ხარჯზე) შესახებ შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

31. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში, მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე).

32. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე
წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დავის სწრაფად გადაწყვეტას, ზოგავს თქვენს დროს და სახსრებს. თუ თქვენ ითხოვთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ თქვენ ითხოვთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ არ წარმოგიდგენიათ ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ან წარმოადგინეთ დაუშვებელი ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თქვენი და მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ გეცნობებათ.

33. დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის და სხდომათა რაოდენობა
მოცემული გრაფის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ თანახმა ხართ, სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. პოზიციის დასაბუთებაში იგულისხმება საქმის ზეპირი განხილვის უშუალოდ თქვენთვის განკუთვნილი ნაწილი. თუ ირჩევთ 20-ზე მეტ წუთს ან 2-ზე მეტ სხდომას, ვალდებული ხართ, მიუთითოთ, თუ რაში მდგომარეობს თქვენი საქმის სპეციფიკური სირთულე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოსათვის სავალდებულო არაა თქვენ მიერ მითითებული დრო და სხდომათა რაოდენობა.

34. ელექტრონული ფოსტა
შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

35. თანდართული საბუთები (I)
ვალდებული ხართ, სააპელაციო საჩივარს დაურთოთ მასში მითითებული ყველა ახალი მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარმოდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. ახალი წერილობითი მტკიცებულებები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ ახალი წერილობითი მტკიცებულების დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). არ დაურთოთ სააპელაციო საჩივარს ერთხელ უკვე წარმოდგენილი საბუთები. ნორმატიული მასალის დართვა სააპელაციო საჩივარზე მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - „დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს სააპელაციო საჩივრის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

36. თანდართული საბუთები (II)
სასამართლოს უნდა წარუდგინოთ სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს სააპელაციო საჩივარზე შესაძლოა დადგინდეს ხარვეზი და სასამართლო არ მიიღებს მას წარმოებაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრამდე.

37. სააპელაციო საჩივრის შეტანა
სააპელაციო საჩივარი უნდა შეიტანოთ იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო

დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

სააპელაციო შესაგებელი
სამოქალაქო საქმეზე

იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო შესაგებელი
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

საქმე №		
	აპელანტის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მომხსენებელი მოსამართლის სახელი და გვარი

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სააპელაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები საჩივრისთვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.
სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სააპელაციო შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლომ შესაძლოა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*	

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ეთანხმებით თუ არა სააპელაციო მოთხოვნას?	
დიახ	☐
არა	☐
ნაწილობრივ	☐
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-8

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებზე

შენიშვნა-9 *შენიშვნა-10*

პირველ ფაქტობრივ უსწორობას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

მე-2 ფაქტობრივ უსწორობას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-11 *შენიშვნა-12* *შენიშვნა-13* *შენიშვნა-14*

პირველ ახალ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-15 *შენიშვნა-16* *შენიშვნა-17*

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-18

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-19

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-20

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სააპელაციო საჩივრის აღძვრას?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-21

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

შენიშვნა-22

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე

შენიშვნა-23 *შენიშვნა-24*

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-25

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-26

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-28

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-29

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-30

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-31

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☐	

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 *შენიშვნა-34*

დანართი 1:

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
10 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში გსურთ დავის განხილვის დასრულება?
ერ სხდომაში რადგან

შენიშვნა-36

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-37

სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები

თუ არ გამოცხადდით სხდომაზე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თქვენს წინააღმდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავის შესაბამისად.
თუ სხდომაზე არ გამოცხადდით არც თქვენ და არც აპელანტი, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.
ვალდებული ხართ, გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოთ სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.
უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს.
ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს. წარმომადგენელი ვალდებულია, მისთვის უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მოწინააღმდეგე მხარეს.
წარმოადგინეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
თუ თქვენ დაესწრებით გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადებას ან თქვენთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იქნება გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების თარიღის შესახებ და დააპირებთ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებას, ვალდებული ხართ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა აუდრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეთ სასამართლოში და ჩაიბაროთ გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააპელაციო შესაგებელი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

სააპელაციო შესაგებლის შენიშვნები სამოქალაქო საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი სააპელაციო შესაგებელი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. მოწინააღმდეგე მხარე
მოწინააღმდეგე მხარე ხართ თქვენ (ყოფილი მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით), ვის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებს აპელანტი.

2. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

3. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (მხოლოდ ადვოკატი). თუ სააპელაციო შესაგებლის შემოტანის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, სააპელაციო შესაგებელში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ სააპელაციო შესაგებელი შემოაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა სააპელაციო შესაგებელს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა (ორდერი), ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). ადვოკატი ვალდებულია, წარმოადგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც.

4. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

5. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი მოწინააღმდეგე მხარის ან მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

6. სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

შეგიძლიათ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოთ თქვენი საქმის ზეპირი მოსმენისას მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების ან/და თარჯიმნების მოწვევის თაობაზე. შუამდგომლობებს ეთმობა ცალკე გვერდი, ამ გრაფაში კი უნდა მიუთითოთ დასაბარებელ პირთა სტატუსი, მათი პირადი და საკონტაქტო მონაცემები.

7. შენიშვნა სასამართლოში დასაბარებელ პირთა სიაზე

ორი ან მეტი დასაბარებელი პირის მითითებისას, თითოეული მათგანის სტატუსი, პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

8. ეთანხმებით თუ არა სააპელაციო მოთხოვნას?

სააპელაციო მოთხოვნას შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ან დაეთანხმოთ სრულად, ან ნაწილობრივ. სააპელაციო მოთხოვნის მიმართ სრული ან ნაწილობრივი თანხმობის გამოხატვა იწვევს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას სრულად ან ნაწილობრივ. შესაბამისად, სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. თუ სააპელაციო მოთხოვნას სრულად ეთანხმებით, შეგიძლიათ აღარ შეავსოთ ფორმის მე-3, მე-4 და მე-5 გვერდები. სააპელაციო მოთხოვნის ცნობაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში შესაგებლის ფორმა ექვემდებარება სრულად შევსებას. თუ სააპელაციო მოთხოვნას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი მართებულად და რა ნაწილში - უმართებულოდ.

9. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებზე (I)

სააპელაციო საჩივარი შესაძლებელია ემყარებოდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობას. წინამდებარე გრაფაში ვალდებული ხართ, დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების თითოეულ ფაქტობრივ უსწორობასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ აირჩიოთ ოთხი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „არ ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა"). თუ ფაქტობრივ უსწორობას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი მართებულად და რა ნაწილში უმართებულოდ. ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია, თუკი სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ უსწორობას სრულად ან ნაწილობრივ არ

ეთანხმებით, ან მიგაჩნიათ იგი საქმისთვის მნიშვნელობის არმქონედ. თქვენი პოზიცია ფაქტობრივ უსწორობაზე შესაძლოა ემყარებოდეს უკვე წარმოდგენილ ან ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, ან მათ უარყოფას. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. ახალი მტკიცებულების წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო შესაგებელს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის აპელანტის მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და შესაბამისად მისი დაკმაყოფლების ალბათობის ხარისხს.

10. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებზე (II)

პოზიცია ფაქტობრივ უსწორობებზე უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. მოსაზრებები ფაქტობრივ უსწორობებზე მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი უსწორობებისა და მათზე თქვენი მოსაზრებების ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ფაქტობრივ უსწორობებზე თითოეული მოსაზრების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოსაზრების შინაარსს და ამ მოსაზრების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. თუ ხდება მითითება სხდომის ოქმზე, აუცილებლად უნდა მიეთითოს დროის ის მონაკვეთი, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვან გარემოებაზეა საუბარი. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს ორი ფაქტობრივი უსწორობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი ფაქტობრივი უსწორობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

11. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე (I)

ფაქტობრივი გარემოება არის ერთი კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა თქვენსა და აპელანტს შორის სადავო ურთიერთობისას (მაგ. ხელშეკრულების დადება). წინამდებარე გრაფაში ვალდებული ხართ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ თითოეულ ახალ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ აირჩიოთ ხუთი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „არ ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „არ ვარ ინფორმირებული"; „საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა"). თუ ახალ ფაქტობრივ გარემოებას ნაწილობრივ ეთანხმებით ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რომელ ნაწილში მიგაჩნიათ იგი უდავოდ და რომელ ნაწილში - სადავოდ. ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია, თუკი სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით ან მიგაჩნიათ იგი საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ.

12. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე (II)

თქვენი პოზიცია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებულ ახალი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით, ან მიგაჩნიათ იგი საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ, შესაძლოა ემყარებოდეს საქმეში არსებულ ან აპელანტის მიერ წარმოდგენილ ახალ მტკიცებულებებს, მათ უარყოფას, ახალ მტკიცებულებებს ან/და ახალ ფაქტობრივ გარემოებას. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. თუკი მიგაჩნიათ, რომ

სააპელაციო საჩივარში მითითებული მტკიცებულება არაა დასაშვები, ამ მტკიცებულების გასწვრივ მიუთითეთ სტანდარტული ტექსტი („მტკიცებულება არ არის დასაშვები, წარმოვადგინე შესაბამისი შუამდგომლობა”) და წარმოადგინეთ შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. ახალი მტკიცებულების წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო შესაგებელს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა”) და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სააპელაციო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილების ალბათობის ხარისხს.

13. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე (III)

თქვენი პოზიცია აპელანტის მიერ მითითებულ ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. პოზიციები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ახალი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათზე თქვენი პოზიციის ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. თითოეული პოზიციის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მის არგუმენტაციასა და ამ არგუმენტაციის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს პირველი პოზიციის დასაფიქსირებელი გრაფა. ერთზე მეტი პოზიციის მითითებისას, ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა). პოზიციის არგუმენტაციის თითოეულ გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

14. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე (IV)

შესაგებელში სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა ასახოთ თქვენი მოსაზრებები სააპელაციო საჩივარში მითითებულ თითოეულ ახალ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ თქვენ არ ეთანხმებით სააპელაციო საჩივარში მოყვანილ რომელიმე ახალ გარემოებას, ვალდებული ხართ მიუთითოთ ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში, გერთმევათ უფლება, შეასრულოთ ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

15. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (I)

გარდა პოზიციისა აპელანტის მიერ მითითებულ ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე, შეგიძლიათ თავად მიუთითოთ ახალი ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლო ახალ ფაქტობრივ გარემოებას მიიღებს, თუ თქვენ საპატიო მიზეზის გამო არ შეგეძლოთ მასზე მითითება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ მიერ მითითებული ახალი ფაქტობრივი გარემოებებით უნდა დასტურდებოდეს სააპელაციო მოთხოვნის არამართებულობა. თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ, რომელი ახალი ფაქტობრივი გარემობები დაედოს საფუძვლად თქვენს სააპელაციო შესაგებელს. ამავე დროს, არ მიუთითოთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა ან/და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე. ამგვარ ახალ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო არ მიიღებს.

16. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (II)

ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ახალი ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული

და თქვენთვის ცნობილი (მათ შორის, საქმეში არსებული) ყველა მტკიცებულების შესახებ. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. ახალი მტკიცებულების წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო შესაგებელს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სააპელაციო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილების ალბათობის ხარისხს.

17. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (III)

ახალი ფაქტობრივი გარემოებები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი გარემოებები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია, გართულდება რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმა და მოვლენის არსის წვდომა, შესაძლებელია, ერთ პუნქტში რამდენიმე გარემოების მითითება. თითოეული ახალი ფაქტობრივი გარემოების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ გარემოების შინაარსს, მიუთითებლობის საპატიო მიზეზს და ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს პირველი ახალი ფაქტობრივი გარემოების დასაფიქსირებელი გრაფა. ერთზე მეტი ახალი ფაქტობრივი გარემოების მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ახალი ფაქტობრივი გარემოების შინაარსის გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

18. საქმის წარმოების შეწყვეტა

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. საქმის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ შეწყვიტოს საქმის წარმოება სააპელაციო საჩივარზე. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლში.

19. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. დაინტერესებული პირის სახელით სააპელაციო საჩივარი შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლში.

20. საქმის წარმოების შეჩერება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურეობრივ მივლინებაში), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ საქმის წარმოება შეაჩეროს. საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე და 280-ე მუხლებში. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა გრძელდება საერთო წესით.

21. შეგებებული სააპელაციო საჩივარი

შეგებებული სააპელაციო საჩივარი შესაგებელთან ერთად სააპელაციო საჩივრისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენით თქვენ არა მხოლოდ პასიურად იცავთ თავს სააპელაციო საჩივრისაგან, არამედ იმავდროულად თქვენს დამოუკიდებელ სააპელაციო მოთხოვნებს აყალიბებთ. სააპელაციო საჩივრის გადმოცემიდან 10 დღის ვადაში უფლებამოსილი ხართ, წარმოადგინოთ შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული გაქვთ თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

22. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად თუკი არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთ ან რამდენიმე აბსოლუტურ საფუძველთან დაკავშირებით.

23. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე (I)

სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: (1)არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; (2)გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; (3)მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვა სახის არგუმენტებზე მითითებით. თქვენი მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ სამართლის ნორმის დარღვევაზე უნდა აბათილებდეს სააპელაციო მოთხოვნას.

24. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე (II)

თქვენი მოსაზრებები სამართლის ნორმის დარღვევასთან დაკავშირებით უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. თითოეული მოსაზრება ნორმის დარღვევაზე მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ნორმის დარღვევისა და მათზე თქვენი პოზიციის ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

25. მტკიცებითი შუამდგომლობები

შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიუთითოთ მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს. მტკიცებითი შუამდგომლობები შეეხება მტკიცებულებებს.

26. მოწმე, ექპერტი და სპეციალისტი

ზემოთ მოცემულია საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა მოწვევის გრაფები. მარცხენა მხარეს იწერება მოსაწვევი მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის სახელი და

გვარი, შუა გრაფაში იმ ფაქტობრივ უსწორობათა ან/და ახალ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებსაც მიგაჩნიათ, რომ დაადასტურებენ ან უარყოფენ აღნიშნული პირები, ხოლო მარჯვენა მხარეს - საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ იყვნენ ისინი წარმოდგენილი საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას ან რატომ გახდა აუცილებელი მათი ხელახალი გამოძახება.

27. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად მიჩნევის თაობაზე
ამ გრაფაში იწერება შუამდგომლობები ახალ წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა დაშვების თაობაზე. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ მტკიცებულებას, რომელიც თქვენ შეგეძლოთ წარგედგინათ პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინეთ. ამასთან, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ ახალ მტკიცებულებებს მიიღებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

28. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე
თუკი საპატიო მიზეზის გამო, სააპელაციო შესაგებელს ვერ დაურთავთ ახალ მტკიცებულებას, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა მან მოგცეთ გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)წარმოდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზი; (3)გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

29. შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე
თუკი საკუთარი ძალებით ვერ შეძელით ახალი მტკიცებულების მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულება იმყოფება, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს იგი. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)დავის იმ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებიც დგინდება ამ მტკიცებულებით; (3)მტკიცებულების მფლობელის სახელი და გვარი (სახელწოდება) და მისი საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი); (4)რა საფუძვლით გეთქვათ უარი მტკიცებულების გადმოცემაზე; (5)რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი, რომ მტკიცებულება თქვენ მიერ მითითებული პირის ხელთაა. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

30. სხვა სახის შუამდგომლობები
ამ გრაფაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ნებისმიერი სხვა სახის შუამდგომლობა (მაგ. საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე). თითოეული შუამდგომლობა უნდა მიეთითოს ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და მის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

31. მოსამართლის აცილება
შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მოსამართლე თავადაა დავის მხარე), შეგიძლიათ განაცხადოთ აცილება საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ. მოსამართლის აცილების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებში.

32. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში, მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე).

33. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, სააპელაციო შესაგებელს დაურთოთ მასში მითითებული ყველა ახალი მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარმოდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. ახალი წერილობითი მტკიცებულებები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი მტკიცებულების დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). არ დაურთოთ სააპელაციო შესაგებელს ერთხელ უკვე წარმოდგენილი საბუთები. ნორმატიული მასალის დართვა სააპელაციო შესაგებელზე მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს სააპელაციო შესაგებლის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

34. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ სააპელაციო შესაგებლისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

35. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დავის სწრაფად გადაწყვეტას, ზოგავს თქვენს დროსა და სახსრებს. თუ აპელანტი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ აპელანტი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ არ წარმოუდგენია ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ან წარმოადგინა დაუშვებელი ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მისი და თქვენი თანხმობით საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ გეცნობებათ.

36. დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის და სხდომათა რაოდენობა

მოცემული გრაფის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ თანახმა ხართ, სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. პოზიციის დასაბუთებაში იგულისხმება საქმის ზეპირი განხილვის უშუალოდ თქვენთვის განკუთვნილი ნაწილი. თუ ირჩევთ 25 ან მეტ წუთს, ან/და 2 ან მეტ სხდომას, ვალდებული ხართ, მიუთითოთ, თუ რაში მდგომარეობს თქვენი საქმის სპეციფიკური სირთულე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოსათვის სავალდებულო არაა თქვენ მიერ მითითებული დრო და სხდომათა რაოდენობა.

37. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ

ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

საკასაციო საჩივარი
სამოქალაქო საქმეზე

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

კასატორი: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*
ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

კასატორის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-5*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება:	
მომხსენებელი მოსამართლე:	
საქმის ნომერი:	
მიღების თარიღი:	

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:	
სრულად	☐
ნაწილობრივ	☐
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-10

საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

შენიშვნა-11

კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:	
☐	საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
☐	გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
☐	გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
☐	გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
☐	გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
☐	საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება:

დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

შენიშვნა-13 *შენიშვნა-14*

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-15 *შენიშვნა-16*

1. პრეტენზია

დასაბუთება:

2. პრეტენზია

დასაბუთება:

3. პრეტენზია

დასაბუთება:

შუამდგომლობები

შენიშვნა-17 *შენიშვნა-18*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

საჩივრის ფასი *შენიშვნა-19*	—	ლარი
სახელმწიფო ბაჟი *შენიშვნა-20*	—	ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐ არა ☐
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).
5.

შენიშვნა-21

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-22

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-24 *შენიშვნა-25*

დანართი 1:

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	☐	☐
2.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☐
4.	მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☐	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	☐	☐
7.	მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	☐	☐
8.	მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☐	☐
9.	საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	☐	☐
10.	საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
12.	საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☐	☐
13.	საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☐	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკასაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-26

საკასაციო საჩივრის შენიშვნები სამოქალაქო საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი საკასაციო საჩივარი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. კასატორი
კასატორი ხართ თქვენ (ყოფილი აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით), ვინც ასაჩივრებთ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2. კასატორის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)
სასამართლო უფლებამოსილია, საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ თქვენს ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე). მისამართის შეცვლის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ სასამართლოს.

3. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

4. კასატორის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (მხოლოდ ადვოკატი). თუ საკასაციო საჩივრის აღძვრის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, საკასაციო საჩივარში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი და მოწინააღმდეგე მხარის, ასევე,

წარმომადგენლის მონაცემები. თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი და მოწინააღმდეგე მხარის, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა საკასაციო საჩივარს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა (ორდერი), ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). ადვოკატი ვალდებულია, წარმოადგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც.

5. მოწინააღმდეგე მხარე

მოწინააღმდეგე მხარე არის ყოფილი აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე ან/და მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ვის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებთ საკასაციო წესით.

6. მოწინააღმდეგე მხარის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

სასამართლო უფლებამოსილია, საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ მოწინააღმდეგე მხარის ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე).

7. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

8. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი კასატორის, კასატორის წარმომადგენლის ან მოწინააღმდეგე მხარის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. საკასაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არაა სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

9. გასაჩივრებული გადაწყვეტილება

ვალდებული ხართ, ამ გრაფაში მიუთითოთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება, კერძოდ, მიმღები სასამართლო, მომხსენებელი მოსამართლე, საქმის ნომერი და გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება გახდეს სასამართლოს ის განჩინებებიც, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

10. გადაწყვეტილების გასაჩივრება

ვალდებული ხართ, მიუთითოთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სრულად ასაჩივრებთ თუ ნაწილობრივ. ნაწილობრივი გასაჩივრებისას მიუთითეთ სარეზოლუციო ნაწილის იმ პუნქტებზე რომელთაც სადავოდ ხდით და დეტალურად დააზუსტეთ საჩივრის მოცულობა თითეულ ამ პუნქტთან მიმართებით, რადგან საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს (გააუქმოს) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც თქვენ მოითხოვთ.

11. საკასაციო მოთხოვნა

ამ გრაფაში უნდა მიუთითოთ, თუ კონკრეტულად რას ითხოვთ. საკასაციო მოთხოვნა შეიძლება იყოს: (1)გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება; (2)გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება; (3)გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებული გადაწყვეტილების ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება; (4)გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებული გადაწყვეტილების ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება. გაითვალისწინეთ, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია.

12. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუკი არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. ერთი ან რამდენიმე აბსოლუტური საფუძვლის უბრალო მონიშვნის შემდეგ ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ მათი ნამდვილობა.

13. დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (I)

სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: (1)არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; (2)გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; (3)მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვაზე მითითებით. სამართლებრივი საფუძვლები იურიდიულად უნდა ამართლებდეს თქვენს საკასაციო მოთხოვნას.

14. დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (II)

თითოეული სამართლის ნორმის დარღვევა უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. თითოეული სამართლის ნორმის დარღვევა მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

15. პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე (I)

სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე (II)

თითოეული პრეტენზია ჩამოაყალიბეთ ნათლად და ლაკონურად. პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. ერთ პუნქტად რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით პრეტენზიის მითითება შეიძლება, თუ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ისინი ერთ პუნქტშია მოქცეული. თითოეული ახალი პრეტენზიის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ პრეტენზიის შინაარსს და მის დასაბუთებას. თუ ხდება მითითება სხდომის ოქმზე, აუცილებლად უნდა მიეთითოს დროის ის მონაკვეთი, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვან გარემოებაზეა საუბარი. მოცემულ ფორმაში არსებობს სამი პრეტენზიის დასაფიქსირებელი გრაფა. სამზე მეტი პრეტენზიის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. საკასაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა).

17. შუამდგომლობები (I)

შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიუთითოთ მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს.

18. შუამდგომლობები (II)

თითოეული შუამდგომლობა უნდა მიეთითოს ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და ამ მოთხოვნის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

19. საჩივრის ფასი

საჩივრის (დავის საგნის) ფასი არის პროცესუალური ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სასამართლოს საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრაში. საჩივრის ფასი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ზომით ითხოვთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლას.

20. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟი არის შენატანი საქართველოს ბიუჯეტში, სასამართლო პროცესის წარმართვისათვის. სახელმწიფო ბაჟის ოდენობები დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლებით. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო სასამართლოში შეადგენს საჩივრის (დავის საგნის) ფასის 5%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკურ პირთათვის 6000 ლარს, ხოლო იურიდიულ პირთათვის - 8000 ლარს. ვალდებული ხართ, საკასაციო საჩივარს დაურთოთ სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მიუთითოთ, რომ კანონი გათავისუფლებთ მისი გადახდისაგან, ან წარმოადგინოთ შუამდგომლობა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან/და გადახდის გადავადების მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენს საკასაციო საჩივარზე დადგინდება ხარვეზი და სასამართლო არ მიიღებს მას წარმოებაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრამდე.

21. შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე

შემთხვევები, როდესაც კანონი გათავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თქვენი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებებით), გაგათავისუფლოთ ბაჟის გადახდისაგან, შეგიმციროთ მისი ოდენობა ან გადაგივადოთ გადახდა. პროცესის სხვა ხარჯების (მაგ. ადვოკატის მოწვევა სახელმწიფოს ხარჯზე) შესახებ შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

22. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე).

23. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

24. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, საკასაციო საჩივარს დაურთოთ მასში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ შუამდგომლობათა ნაწილში. წერილობითი დოკუმენტები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი დოკუმენტის დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). არ დაურთოთ საკასაციო საჩივარს ერთხელ უკვე წარმოდგენილი საბუთები. ნორმატიული მასალის დართვა მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს საკასაციო საჩივრის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

25. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ საკასაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს საკასაციო საჩივარზე შესაძლოა დადგინდეს ხარვეზი და სასამართლო არ მიიღებს მას წარმოებაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრამდე.

26. საკასაციო საჩივრის შეტანა

საკასაციო საჩივარი უნდა შეიტანოთ იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ სააპელაციო სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საჩივარსა და მთლიანად საქმეს.

საკასაციო შესაგებელი
სამოქალაქო საქმეზე

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

საქმე №		
	კასატორის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მომხსენებელი მოსამართლის სახელი და გვარი

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი საკასაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები საჩივრისთვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

ეთანხმებით თუ არა საკასაციო მოთხოვნას (განაცხადს)?	
დიახ	☐
არა	☐
ნაწილობრივ	☐
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-6

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-7

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-8

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-9

ხომ არ აპირებთ შეგებებული საკასაციო საჩივრის აღძვრას?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-10

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასაციის მიზეზებზე (საფუძვლებზე)

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

შენიშვნა-11

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ დარღვევებზე, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-12 *შენიშვნა-13*

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ პრეტენზიებზე

შენიშვნა-14 *შენიშვნა-15*

პირველ პრეტენზიას - ვეთანხმები

დასაბუთება:

მე-2 პრეტენზიას - ვეთანხმები

დასაბუთება:

მე-3 პრეტენზიას - ვეთანხმები

დასაბუთება:

შუამდგომლობები

შენიშვნა-16 *შენიშვნა-17*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?		
დიახ	☐	ვის მიმართ? რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-18

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-19

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-20 *შენიშვნა-21*

დანართი 1:
დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-22

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკასაციო შესაგებელი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საკასაციო შესაგებლის შენიშვნები სამოქალაქო საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი საკასაციო შესაგებელი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. მოწინააღმდეგე მხარე
მოწინააღმდეგე მხარე ხართ თქვენ (ყოფილი აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით), ვის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებს კასატორი.

2. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

3. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (მხოლოდ ადვოკატი). თუ საკასაციო შესაგებლის შემოტანის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, საკასაციო შესაგებელში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ საკასაციო შესაგებელი შემოაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა საკასაციო შესაგებელს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა (ორდერი), ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). ადვოკატი ვალდებულია, წარმოადგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც.

4. საკონტაქტო პირი
საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს

სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

5. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი მოწინააღმდეგე მხარის ან მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. საკასაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

6. ეთანხმებით თუ არა საკასაციო მოთხოვნას (განაცხადს)?

საკასაციო მოთხოვნას შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ან დაეთანხმოთ სრულად, ან ნაწილობრივ. საკასაციო მოთხოვნის მიმართ სრული ან ნაწილობრივი თანხმობის გამოხატვა იწვევს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას სრულად ან ნაწილობრივ, შესაბამისად, სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. თუ საკასაციო მოთხოვნას სრულად ეთანხმებით, შეგიძლიათ აღარ შეავსოთ ფორმის მე-3 და მე-4 გვერდები. საკასაციო მოთხოვნის ცნობაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში შესაგებლის ფორმა ექვემდებარება სრულად შევსებას. თუ საკასაციო მოთხოვნას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი მართებულად და რა ნაწილში - უმართებულოდ.

7. საქმის წარმოების შეწყვეტა

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. საქმის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ შეწყვიტოს საქმის წარმოება საკასაციო საჩივარზე. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლში.

8. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. დაინტერესებული პირის სახელით საკასაციო საჩივარი შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლში.

9. საქმის წარმოების შეჩერება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურეობრივ მივლინებაში), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ საქმის წარმოება შეაჩეროს. საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე და 280-ე მუხლებში. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა ხდება საერთო წესით.

10. შეგებებული საკასაციო საჩივარი

შეგებებული საკასაციო საჩივარი შესაგებელთან ერთად საკასაციო საჩივრისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. თუმცა, შეგებებული საკასაციო საჩივრის წარდგენით თქვენ არა მხოლოდ პასიურად იცავთ თავს საკასაციო საჩივრისაგან, არამედ იმავდროულად თქვენს დამოუკიდებელ საკასაციო მოთხოვნებს აყალიბებთ. საკასაციო საჩივრის გადმოცემიდან 10 დღის ვადაში უფლებამოსილი ხართ, წარმოადგინოთ შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული გაქვთ თუ არა უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია.

11. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუკი არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია კასატორის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთ ან რამდენიმე აბსოლუტურ საფუძველთან მიმართებით.

12. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ დარღვევებზე, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (I)

სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: (1)არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; (2)გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; (3)მართალია, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვაზე მითითებით. თქვენი მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ სამართლის ნორმის დარღვევაზე უნდა აბათილებდეს საკასაციო მოთხოვნას.

13. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ დარღვევებზე, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (II)

თქვენი მოსაზრებები სამართლის ნორმათა დარღვევასთან დაკავშირებით უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. თითოეული მოსაზრება ნორმის დარღვევაზე მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ნორმათა დარღვევებისა და მათზე თქვენი მოსაზრებების ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

14. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ პრეტენზიებზე (I)

სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ პრეტენზიებზე (II)

წინამდებარე გრაფაში ვალდებული ხართ, დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ თითოეულ პრეტენზიასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ აირჩიოთ ოთხი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „არ ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა"). თუ პრეტენზიას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი დასაბუთებულად და რა ნაწილში - დაუსაბუთებლად. ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია, თუკი საკასაციო საჩივარში მითითებულ პრეტენზიას სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით, ან მიგაჩნიათ იგი საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ. გაითვალისწინეთ, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიებისა და მათზე თქვენი პოზიციის ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. თითოეული პოზიციის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მის დასაბუთებას. თუ ხდება მითითება სხდომის ოქმზე, აუცილებლად უნდა მიეთითოს დროის ის მონაკვეთი, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვან გარემოებაზეა საუბარი. მოცემულ ფორმაში არსებობს პირველი სამი პოზიციის დასაფიქსირებელი გრაფა. სამზე მეტი პოზიციის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. საკასაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

16. შუამდგომლობები (I)

შუამდგომლობა არის სასამართლოსადმი თქვენი მიმართვა კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს.

17. შუამდგომლობები (II)

თითოეული შუამდგომლობა უნდა მიეთითოს ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და ამ მოთხოვნის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

18. მოსამართლის აცილება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მოსამართლე თავადაა დავის მხარე), შეგიძლიათ განაცხადოთ აცილება საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ. მოსამართლის აცილების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებში.

19. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში, მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე).

20. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, საკასაციო შესაგებელს დაურთოთ მასში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ შუამდგომლობათა ნაწილში. წერილობითი დოკუმენტები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი დოკუმენტის დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). არ დაურთოთ საკასაციო შესაგებელს ერთხელ უკვე წარმოდგენილი საბუთები. ნორმატიული მასალის დართვა საკასაციო შესაგებელზე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს საკასაციო შესაგებლის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

21. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ საკასაციო შესაგებლისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

22. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: *შენიშვნა-5*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*	

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საგანი

შენიშვნა-11

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შენიშვნა-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-13

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 *შენიშვნა-15* *შენიშვნა-16*

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

3. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

4. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

5. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 *შენიშვნა-18* *შენიშვნა-19*

1. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-23

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☐	

სარჩელის ფასი *შენიშვნა-25*	—	ლარი
სახელმწიფო ბაჟი *შენიშვნა-26*	—	ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☐
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.	

შენიშვნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☐	მტკიცებულება:
არა	☐	რადგან

> თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
> სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
> მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
> » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
> » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
> » სასამართლო ხარჯები;
> » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
> » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან
რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ი სხდომაში რადგან

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 *შენიშვნა-34*

დანართი 1:
დანართი 2:
ფურცლების საერთო რაოდენობა:

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☐	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☐	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☐	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☐	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☐	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☐	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☐	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☐	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	☐	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

სარჩელის შენიშვნები ადმინისტრაციულ საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი სარჩელი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. მოსარჩელე
მოსარჩელე ხართ თქვენ (ადმინისტრაციული ორგანო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი), ვისაც მიგაჩნიათ, რომ გაქვთ მართებული მოთხოვნა მოპასუხის მიმართ და სასამართლო წესით ითხოვთ ამ უფლებაში აღდგენას. ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავაში ერთი მხარე მაინც ადმინისტრაციული (საჯარო) უფლებამოსილების მატარებელი სუბიექტია.

2. მოსარჩელის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)
სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ თქვენს ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე). მისამართის შეცვლის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ სასამართლოს.

3. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

4. მოსარჩელის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (ნებისმიერი პირი). თუ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, სარჩელში უნდა მიუთითოთ, როგორც თქვენი და მოპასუხის, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ სარჩელი შეაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი და მოპასუხის, ასევე, თქვენი

(მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა სარჩელს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

5. მოპასუხე

მოპასუხე არის ადმინისტრაციული ორგანო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი, რომელმაც მიგაჩნიათ, რომ ხელყო თქვენი უფლება ან/და კანონით დაცული ინტერესი.

6. მოპასუხის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ მოპასუხის ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე).

7. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

8. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი მოსარჩელის, მოსარჩელის წარმომადგენლის ან მოპასუხის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სარჩელის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არაა სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

9. სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

შეგიძლიათ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოთ თქვენი საქმის ზეპირი მოსმენისას მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების ან/და თარჯიმნების მოწვევის თაობაზე. შუამდგომლობებს ეთმობა ცალკე გვერდი, ამ გრაფაში კი უნდა მიუთითოთ მხოლოდ დასაბარებელ პირთა სტატუსი, მათი პირადი და საკონტაქტო მონაცემები.

10. შენიშვნა სასამართლოში დასაბარებელ პირთა სიაზე

ორი ან მეტი დასაბარებელი პირის მითითებისას თითოეული მათგანის სტატუსი, პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სარჩელის სანიმუშო ფორმა).

11. დავის საგანი

დავის საგანი არის თქვენი სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი არსი. ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: (1)ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; (2)ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; (3)ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; (4)აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; (5)სხვა საქმეები, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

12. აღიარებითი სარჩელი

აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის თაობაზე, თუ თქვენ გაქვთ ამის კანონიერი ინტერესი. აღიარებითი სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვა დასაშვებია მანამ, სანამ წამოჭრილი დავის გამო თქვენი უფლება დაირღვევა. აღიარებითი სარჩელის აღძვრისას უნდა მიუთითოთ იმის შესახებ, თუ რა კანონიერი ინტერესი გაქვთ დავის საგანთან დაკავშირებით და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოფთ თქვენი უფლების დაცვას. აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ თქვენ შეგიძლიათ აღძრათ სარჩელი: (1)ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით; (2)ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით; (3)ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

13. დავის არსის მოკლე მიმოხილვა

დავის არსის მოკლე მიმოხილვა წარმოადგენს მაქსიმალურად კონკრეტულ და ლაკონურ მითითებას სადავო ურთიერთობის ისტორიაზე. გადმოეცით სარჩელის არსი, ზოგადად ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია სასამართლოსათვის მიმართვის აუცილებლობა და თქვენი რომელი უფლება იქნა დარღვეული. აღნიშნული გრაფის შევსება მიზნად ისახავს სასამართლოსათვის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დავის არსის აღქმასა და მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას. მოცემულ გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 3200 სიმბოლო - 40 ხაზი).

14. დავის ფაქტობრივი გარემოებები (I)

ფაქტობრივი გარემოება არის ერთი კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა თქვენსა და მოპასუხეს შორის სადავო ურთიერთობისას (მაგ. უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე). წინამდებარე გრაფა წარმოადგენს ,,დავის არსის მოკლე მიმოხილვის" ერთგვარ რეზიუმირებას, სადაც პუნქტობრივად უნდა მიუთითოთ იმ კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებიც თქვენ მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად თქვენი მოთხოვნის დასასაბუთებლად და მიზნად ისახავთ, სასამართლოს ყურადღება მიაპყროთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უნდა გახდეს სასამართლო მსჯელობის საგანი და რომელთა დადასტურების შემთხვევაში თქვენი სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებულად ჩაითვლება. თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ, რომელი ფაქტობრივი გარემოებები დაედოს საფუძვლად თქვენს სასარჩელო მოთხოვნას. ამავე დროს, არ მიუთითოთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა ან/და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე. ამგვარ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო არ მიიღებს მხედველობაში. პარალელურად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები.

15. დავის ფაქტობრივი გარემოებები (II)

ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული და თქვენთვის ცნობილი ყველა მტკიცებულების შესახებ. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სარჩელთან ერთად მტკიცებულების წარმოდგენას, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი (,,წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის

თქვენი სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლად მიჩნევისა და, შესაბამისად, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ალბათობის ხარისხს. პარალელურად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დავაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

16. დავის ფაქტობრივი გარემოებები (III)

ფაქტობრივი გარემოებები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი გარემოებები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია, გართულდება რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმა და მოვლენის არსის წვდომა, შესაძლებელია, ერთ პუნქტში რამდენიმე გარემოების მითითება. თითოეული ფაქტობრივი გარემოების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ გარემოების შინაარსს და ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს შვიდი ფაქტობრივი გარემოების დასაფიქსირებელი გრაფა. შვიდზე მეტი ფაქტობრივი გარემოების მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სარჩელის სანიმუშო ფორმა). ფაქტობრივი გარემოების შინაარსის თითოეულ გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

17. სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები (I)

სარჩელი შეიძლება აღიძრას: (1)ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით; (2)ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით; (3)ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. გაითვალისწინეთ, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი თქვენი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაგეხმაროთ მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. მოთხოვნის მიუთითებლობა წარმოადგენს სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

18. სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები (II)

სამართლებრივი საფუძვლები არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებზეც ამყარებთ თქვენს სასარჩელო მოთხოვნას. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვა სახის არგუმენტებზე მითითებით. სამართლებრივი საფუძვლები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. სამართლებრივი საფუძვლების მითითება სავალდებულო არ არის, თუმცა გეძლევათ შესაძლებლობა, სასამართლოს თქვენი სამართლებრივი არგუმენტაცია მიაწოდოთ, რათა დაარწმუნოთ იგი თქვენი მოთხოვნის მართებულობაში.

19. სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები (III)

თითოეული სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. სასარჩელო მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად არაბული ციფრებით. თითოეული სასარჩელო მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნასა და მითითებას ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე. მოცემულ ფორმაში არსებობს სამი სასარჩელო მოთხოვნის დასაფიქსირებელი გრაფა. სამზე მეტი სასარჩელო მოთხოვნის

მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სარჩელის სანიმუშო ფორმა).

20. მტკიცებითი შუამდგომლობები

შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს. მტკიცებითი შუამდგომლობები შეეხება მტკიცებულებებს.

21. მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი

ზემოთ მოცემულია საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა მოწვევის გრაფები. მარცხენა მხარეს იწერება მოსაწვევი მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის სახელი და გვარი, ხოლო მარჯვენა მხარეს - დავის იმ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებსაც მიგაჩნიათ, რომ დაადასტურებენ აღნიშნული პირები.

22. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე

თუკი საპატიო მიზეზის გამო, სარჩელს ვერ ურთავთ მტკიცებულებას, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა მან მოგცეთ გონივრული ვადა მის წარსადგენად. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)წარმოდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზი; (3)გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

23. შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე

თუკი საკუთარი ძალებით ვერ შეძელით მტკიცებულების მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულება იმყოფება, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს იგი. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)დავის იმ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებიც დგინდება ამ მტკიცებულებით; (3)მტკიცებულების მფლობელის სახელი და გვარი (სახელწოდება) და მისი საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი); (4)რა საფუძვლით გეთქვათ უარი მტკიცებულების გადმოცემაზე; (5)რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი, რომ მტკიცებულება თქვენ მიერ მითითებული პირის ხელთაა. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

24. სხვა სახის შუამდგომლობები

ამ გრაფაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ნებისმიერი სხვა სახის შუამდგომლობა (მაგ. საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე). თითოეული შუამდგომლობა უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და მის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

25. სარჩელის ფასი

სარჩელის (დავის საგნის) ფასი არის პროცესუალური ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სასამართლოს სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრაში. სარჩელის ფასის დაანგარიშების წესი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლში.

26. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟი არის შენატანი საქართველოს ბიუჯეტში, სასამართლო პროცესის წარმართვისათვის. სახელმწიფო ბაჟის ოდენობები დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლებით. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკურ პირთათვის 3000 ლარს, ხოლო იურიდიულ პირთათვის - 5000 ლარს. ვალდებული ხართ, სარჩელს დაურთოთ სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მიუთითოთ, რომ კანონი გათავისუფლებთ მისი გადახდისაგან, ან წარმოადგინოთ შუამდგომლობა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან/და გადახდის გადავადების მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს კანცელარია უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე.

27. შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე

შემთხვევები, როდესაც კანონი გათავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თქვენი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებებით), გაგათავისუფლოთ ბაჟის გადახდისაგან, შეგიმციროთ მისი ოდენობა ან გადაგივადოთ გადახდა. პროცესის სხვა ხარჯების (მაგ. ადვოკატის მოწვევა სახელმწიფოს ხარჯზე) შესახებ შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

28. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე). ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი საქმე მორიგებით დაამთავროს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

29. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დავის სწრაფად გადაწყვეტას, ზოგავს თქვენს დროს და სახსრებს. თქვენი და მოპასუხის თანხმობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მაგრამ არაა ვალდებული, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

30. დრო მთავარი სხდომისათვის და სხდომათა რაოდენობა

მოცემული გრაფის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ თანახმა ხართ, სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. პოზიციის დასაბუთებაში იგულისხმება მთავარი სხდომის უშუალოდ თქვენთვის განკუთვნილი ნაწილი. თუ ირჩევთ 25-ზე მეტ წუთს ან 2-ზე მეტ სხდომას, ვალდებული ხართ, მიუთითოთ, თუ რაში მდგომარეობს თქვენი საქმის სპეციფიკური სირთულე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოსათვის სავალდებულო არაა თქვენ მიერ მითითებული დრო და სხდომათა რაოდენობა.

31. საქმის დაჩქარებული წესით განხილვა

დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია: (1)შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი შესაგებლის ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა; (2)მესამე პირს არ განუსაზღვროს

ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრებების წარდგენისათვის; (3)არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა; (4)შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა.

32. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

33. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, სარჩელს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარმოდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წერილობითი მტკიცებულებები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი მტკიცებულების დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). ნორმატიული მასალის დართვა სარჩელზე მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს სარჩელის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

34. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მოპასუხეც არის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს კანცელარია უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე.

შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ შესაგებელი
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

საქმე №		
	მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*	

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?	
დიახ	☐
არა	☐
ნაწილობრივ	☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-19

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 *შენიშვნა-21* *შენიშვნა-22*

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☐	

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 *შენიშვნა-32*

დანართი 1:
დანართი 2:
ფურცლების საერთო რაოდენობა:

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან
რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ი სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შესაგებლის შენიშვნები ადმინისტრაციულ საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი შესაგებელი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. მოპასუხე

მოპასუხე ხართ თქვენ (ადმინისტრაციული ორგანო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი), ვისგანაც მოსარჩელე ითხოვს დარღვეულ უფლებაში აღდგენას.

2. ალტერნატიული მისამართი

,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

3. მოპასუხის წარმომადგენელი

შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (ნებისმიერი პირი). თუ შესაგებლის შემოტანის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, შესაგებელში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ შესაგებელი შეაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა შესაგებელს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

4. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

5. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი მოპასუხის ან მოპასუხის წარმომადგენლის არსებობისას თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არაა სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

6. სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

შეგიძლიათ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოთ თქვენი საქმის ზეპირი მოსმენისას მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების ან/და თარჯიმნების მოწვევის თაობაზე. შუამდგომლობებს ეთმობა ცალკე გვერდი, ამ გრაფაში კი უნდა მიუთითოთ მხოლოდ დასაბარებელ პირთა სტატუსი, მათი პირადი და საკონტაქტო მონაცემები.

7. შენიშვნა სასამართლოში დასაბარებელ პირთა სიაზე

ორი ან მეტი დასაბარებელი პირის მითითებისას, თითოეული მათგანის სტატუსი, პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

8. ცნობთ თუ არა სარჩელს?

სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ ცნობა ან მის ცნობაზე უარის თქმა თქვენი უფლებაა. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი ცნოს სარჩელი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ ცნობის შედეგია სარჩელის დაკმაყოფილება სრულად ან ნაწილობრივ. შესაბამისად, სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სარჩელის სრულად ცნობის შემთხვევაში შეგიძლიათ აღარ შეავსოთ ფორმის მე-3, მე-4 და მე-5 გვერდები. სარჩელის ცნობაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში შესაგებლის ფორმა ექვემდებარება სრულად შევსებას.

9. მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე (I)

ფაქტობრივი გარემოება არის ერთი კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა თქვენსა და მოსარჩელეს შორის სადავო ურთიერთობისას (მაგ. უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე). წინამდებარე გრაფაში ვალდებული ხართ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ აირჩიოთ ხუთი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „არ ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „არ ვარ ინფორმირებული"; „საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა"). თუ ფაქტობრივ გარემოებას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი უდავოდ და რა ნაწილში - სადავოდ. ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია, თუკი სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით, ან მიგაჩნიათ იგი საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ.

10. მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე (II)

თქვენი პოზიცია, რომ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით ან მიგაჩნიათ იგი საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ, შესაძლოა ემყარებოდეს სარჩელში

მოცემულ მტკიცებულებებს, მათ უარყოფას, დამატებით მტკიცებულებებს ან/და დამატებით ფაქტობრივ გარემოებას. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. თუკი მიგაჩნიათ, რომ სარჩელში მითითებული მტკიცებულება არაა დასაშვები, ამ მტკიცებულების გასწვრივ მიუთითეთ სტანდარტული ტექსტი („მტკიცებულება არ არის დასაშვები, წარმოვადგინე შესაბამისი შუამდგომლობა") და წარმოადგინეთ შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. გაითვალისწინეთ, რომ ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული და თქვენთვის ცნობილი ყველა მტკიცებულების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ შესაგებელთან ერთად მტკიცებულების წარმოდგენას, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილების ალბათობის ხარისხს.

11. მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე (III)

თქვენი პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. პოზიციები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათზე თქვენი პოზიციის ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. თითოეული პოზიციის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მის არგუმენტაციასა და ამ არგუმენტაციის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს ხუთი პოზიციის დასაფიქსირებელი გრაფა. ხუთზე მეტი პოზიციის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

12. მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე (IV)

პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა ასახოთ თქვენი მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ თქვენ არ ეთანხმებით სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, ვალდებული ხართ მიუთითოთ ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში, გერთმევათ უფლება, შეასრულოთ ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

13. დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები (I)

გარდა პოზიციისა მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, შეგიძლიათ თავად მიუთითოთ დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით უნდა დასტურდებოდეს შესაგებლის მართებულობა და მოსარჩელის უფლებების დარღვევის ფაქტის არარსებობა. თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ, რომელი ფაქტობრივი გარემოებები დაედოს საფუძვლად თქვენს შესაგებელს სასარჩელო მოთხოვნაზე. ამავე დროს, არ მიუთითოთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა ან/და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე. ამგვარ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო არ მიიღებს მხედველობაში. პარალელურად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები.

14. დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები (II)

ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული და თქვენთვის

ცნობილი ყველა მტკიცებულების შესახებ. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ შესაგებელთან ერთად მტკიცებულების წარმოდგენას, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილების ალბათობის ხარისხს. პარალელურად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დავაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

15. დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები (III)

ფაქტობრივი გარემოებები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი გარემოებები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია, გართულდება რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმა და მოვლენის არსის წვდომა, შესაძლებელია, ერთ პუნქტში რამდენიმე გარემოების მითითება. თითოეული ფაქტობრივი გარემოების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ გარემოების შინაარსს და ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს ორი ფაქტობრივი გარემოების დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი ფაქტობრივი გარემოების მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ფაქტობრივი გარემოების შინაარსის თითოეულ გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

16. საქმის წარმოების შეწყვეტა

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. საქმის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ შეწყვიტოს საქმის წარმოება სარჩელზე. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26^2-ე მუხლებში.

17. სარჩელის განუხილველად დატოვება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვოს. სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლში.

18. საქმის წარმოების შეჩერება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურეობრივ მივლინებაში), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ საქმის წარმოება შეაჩეროს. საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე და 280-ე მუხლებში. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა გრძელდება საერთო წესით.

19. შეგებებული სარჩელი

შეგებებული სარჩელი შესაგებელთან ერთად სარჩელისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა შეგებებული სარჩელის წარდგენით თქვენ არა მხოლოდ პასიურად იცავთ თავს სარჩელისაგან, არამედ იმავდროულად თქვენს დამოუკიდებელ მოთხოვნებს აყალიბებთ მოსარჩელის წინააღმდეგ. შეგებებული სარჩელის აღძვრა დასაშვებია საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე. საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადების დასრულებიდან სასამართლო პაექრობის დაწყებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას. გაითვალისწინეთ, რომ შეგებებული სარჩელის წარდგენა არ დაიშვება, თუ სასარჩელო მოთხოვნა შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

20. მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე (I)

მოსარჩელემ სარჩელი შეიძლება აღძრას: (1)ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით; (2)ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით; (3)ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ვალდებული ხართ, წინამდებარე გრაფაში დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ თითოეულ მოთხოვნასთან მიმართებით. შეგიძლიათ აირჩიოთ სამი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „არ ვეთანხმები"). თუ სასარჩელო მოთხოვნას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი მართებულად და რა ნაწილში - უმართებულოდ.

21. მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე (II)

სამართლებრივი საფუძვლები არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებზეც ამყარებთ თქვენს შესაგებელს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვა სახის არგუმენტებზე მითითებით. სამართლებრივი საფუძვლები იურიდიულად უნდა აბათილებდეს სასარჩელო მოთხოვნას. სამართლებრივი საფუძვლების მითითება სავალდებულო არ არის, თუმცა გეძლევათ შესაძლებლობა, სასამართლოს თქვენი სამართლებრივი არგუმენტაცია მიაწოდოთ, რათა დაარწმუნოთ იგი თქვენი შესაგებლის მართებულობაში.

22. მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე (III)

თითოეული შესაგებელი სასარჩელო მოთხოვნაზე და მისი სამართლებრივი საფუძვლები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. თქვენი პოზიცია თითოეულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული პოზიციის ტექსტი შეიცავს უშუალოდ პოზიციასა და მითითებას ამ პოზიციის სამართლებრივ საფუძვლებზე. მოცემულ ფორმაში არსებობს სამი პოზიციის დასაფიქსირებელი გრაფა. სამზე მეტი პოზიციის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

23. მტკიცებითი შუამდგომლობები

შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს. მტკიცებითი შუამდგომლობები შეეხება მტკიცებულებებს.

24. მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი
ზემოთ მოცემულია საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა მოწვევის გრაფები. მარცხენა მხარეს იწერება მოსაწვევი მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის სახელი და გვარი, ხოლო მარჯვენა მხარეს - იმ პოზიციათა ან/და დავის დამატებით ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებსაც მიგაჩნიათ, რომ დაადასტურებენ აღნიშნული პირები.

25. მტკიცებულების დაუშვებლობა
მტკიცებულებები დაუშვებელია, თუ: (1)საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით; (2)ისინი მოპოვებულია კანონის დარღვევით; (3)მათ საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა. დაუშვებელ მტკიცებულებებს სასამართლო საქმიდან ამოიღებს.

26. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე
თუკი საპატიო მიზეზის გამო, შესაგებელს ვერ ურთავთ მტკიცებულებას, შეგიძლიათ, იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა მან მოგცეთ გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)წარმოდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზი; (3)გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

27. შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე
თუკი საკუთარი ძალებით ვერ შეძელით მტკიცებულების მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულება იმყოფება, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს იგი. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)იმ პოზიციათა ან დავის დამატებით ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებიც დგინდება ამ მტკიცებულებით; (3)მტკიცებულების მფლობელის სახელი და გვარი (სახელწოდება) და მისი საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი); (4)რა საფუძვლით გეთქვათ უარი მტკიცებულების გადმოცემაზე; (5)რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი, რომ მტკიცებულება თქვენ მიერ მითითებული პირის ხელთაა. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

28. სხვა სახის შუამდგომლობები
ამ გრაფაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ნებისმიერი სხვა სახის შუამდგომლობა (მაგ. საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე). თითოეული შუამდგომლობა უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და მის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

29. მოსამართლის აცილება
შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მოსამართლე თავადაა დავის მხარე), შეგიძლიათ განაცხადოთ აცილება საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ. მოსამართლის აცილების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 30-ე, 31-ე მუხლებსა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლში.

30. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში მიუთითეთ თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე). ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი საქმე მორიგებით დაამთავროს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

31. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, შესაგებელს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარმოდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წერილობითი მტკიცებულებები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი მტკიცებულების დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). ნორმატიული მასალის დართვა სარჩელზე მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - „დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს შესაგებლის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

32. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ შესაგებლისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მოსარჩელეც არის საქმეში.

33. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დავის სწრაფად გადაწყვეტას, ზოგავს თქვენს დროს და სახსრებს. თქვენი და მოსარჩელის თანხმობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მაგრამ არაა ვალდებული, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

34. დრო მთავარი სხდომისთვის და სხდომათა რაოდენობა

მოცემული გრაფის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ თანახმა ხართ, სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. პოზიციის დასაბუთებაში იგულისხმება მთავარი სხდომის უშუალოდ თქვენთვის განკუთვნილი ნაწილი. თუ ირჩევთ 25-ზე მეტ წუთს ან 2-ზე მეტ სხდომას, ვალდებული ხართ, მიუთითოთ, თუ რაში მდგომარეობს თქვენი საქმის სპეციფიკური სირთულე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოსათვის სავალდებულო არაა თქვენ მიერ მითითებული დრო და სხდომათა რაოდენობა.

35. საქმის დაჩქარებული წესით განხილვა

დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია: (1)შეამოკლოს თქვენ მიერ შესაგებლის ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა; (2)მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრებების წარდგენისათვის; (3)არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა; (4)შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა.

36. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას.

ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

სააპელაციო საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეზე

იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

აპელანტი: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*
ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

აპელანტის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-5*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*	

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-11

სასამართლოს დასახელება:	
განმხილველი მოსამართლე:	
საქმის ნომერი:	
მიღების თარიღი:	

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:		
სრულად	☐	
ნაწილობრივ	☐	
რომელ ნაწილში?		

შენიშვნა-12

სააპელაციო მოთხოვნა:

შენიშვნა-13

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შენიშვნა-14 *შენიშვნა-15*

1. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:
ა.

2. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:
ა.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-16 *შენიშვნა-17* *შენიშვნა-18*

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:	
☐	საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
☐	გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
☐	გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
☐	გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
☐	გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
☐	საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 *შენიშვნა-21*

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☐	

საჩივრის ფასი *შენიშვნა-28*	—	ლარი
სახელმწიფო ბაჟი *შენიშვნა-29*	—	ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☐
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.	

შენიშვნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
10 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ერ სხდომაში რადგან

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-36 *შენიშვნა-37*

დანართი 1:
დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	☐	☐
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☐	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	☐	☐
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	☐	☐
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☐	☐
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☐	☐
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.		
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☐	☐
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☐	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ სასამართლოს ჩააბაროთ კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააპელაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-38

სააპელაციო საჩივრის შენიშვნები ადმინისტრაციულ საქმეზე

ÿ	გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
ÿ	სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი სააპელაციო საჩივარი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
ÿ	დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
ÿ	ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. აპელანტი
აპელანტი ხართ თქვენ (ყოფილი მოსარჩელე, მოპასუხე ან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი), ვინც ასაჩივრებთ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

2. აპელანტის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)
სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ თქვენს ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე). მისამართის შეცვლის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ სასამართლოს.

3. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

4. აპელანტის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (მხოლოდ ადვოკატი). თუ სააპელაციო საჩივრის აღძვრის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, სააპელაციო საჩივარში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი და მოწინააღმდეგე მხარის, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა

მიუთითოს როგორც საკუთარი და მოწინააღმდეგე მხარის, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა (ორდერი), ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). ადვოკატი ვალდებულია, წარმოადგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც.

5. მოწინააღმდეგე მხარე

მოწინააღმდეგე მხარე არის ყოფილი მოსარჩელე, მოპასუხე ან/და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალიწინებული მესამე პირი, ვის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებთ სააპელაციო წესით.

6. მოწინააღმდეგე მხარის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ მოწინააღმდეგე მხარის ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე).

7. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

8. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი აპელანტის, აპელანტის წარმომადგენლის ან მოწინააღმდეგე მხარის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სააპელაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არაა სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

9. სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

შეგიძლიათ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოთ თქვენი საქმის ზეპირი მოსმენისას მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების ან/და თარჯიმნების მოწვევის თაობაზე. შუამდგომლობებს ეთმობა ცალკე გვერდი, ამ გრაფაში კი უნდა მიუთითოთ მხოლოდ დასაბარებელ პირთა სტატუსი, მათი პირადი და საკონტაქტო მონაცემები.

10. შენიშვნა სასამართლოში დასაბარებელ პირთა სიაზე

ორი ან მეტი დასაბარებელი პირის მითითებისას, თითოეული მათგანის სტატუსი, პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სააპელაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა).

11. გასაჩივრებული გადაწყვეტილება

ამ გრაფაში ვალდებული ხართ, მიუთითოთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება, კერძოდ, მიმღები სასამართლო, საქმის განმხილველი (მომხსენებელი) მოსამართლე, საქმის ნომერი და გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება

გახდეს სასამართლოს ის განჩინებებიც, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

12. გადაწყვეტილების გასაჩივრება

ვალდებული ხართ, მიუთითოთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სრულად ასაჩივრებთ თუ ნაწილობრივ. ნაწილობრივი გასაჩივრებისას მიუთითეთ სარეზოლუციო ნაწილის იმ პუნქტებზე, რომელთაც სადავოდ ხდით და დეტალურად დააზუსტეთ საჩივრის მოცულობა თითოეულ ამ პუნქტთან მიმართებით, რადგან სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს (გააუქმოს) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც თქვენ მოითხოვთ.

13. სააპელაციო მოთხოვნა

ამ გრაფაში უნდა მიეთითოს, თუ კონკრეტულად რას ითხოვთ. სააპელაციო მოთხოვნა შეიძლება იყოს: (1)გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება; (2)გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება; (3)გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებული გადაწყვეტილების ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება; (4)გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებული გადაწყვეტილების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება. გაითვალისწინეთ, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

14. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები (I)

სააპელაციო საჩივარი შესაძლებელია ემყარებოდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობას. ფაქტობრივ უსწორობაზე მითითებისას შეგიძლიათ აღნიშნოთ, რომ სასამართლომ ფაქტობრივი გარემოება: (1)არასწორად მიიჩნია უდავოდ; (2)არასწორად არ მიიჩნია უდავოდ; (3)არასწორად მიიჩნია დადგენილად; (4)არასწორად არ მიიჩნია დადგენილად; (5)არასწორად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ; (6)არასწორად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ. ფაქტობრივი უსწორობა შესაძლოა ემყარებოდეს უკვე წარმოდგენილ ან ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, ან მათ უარყოფას. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. ახალი მტკიცებულების წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო საჩივარს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თქვენი სააპელაციო მოთხოვნის დაუსაბუთებლად მიჩნევისა და, შესაბამისად, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ალბათობის ხარისხს.

15. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები (II)

ფაქტობრივი უსწორობები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი უსწორობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. ერთ პუნქტად რამდენიმე ფაქტობრივი უსწორობის მითითება შეიძლება, თუ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ისინი ერთ პუნქტშია მოქცეული. თითოეული ფაქტობრივი უსწორობის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ უსწორობის შინაარსს და ამ უსწორობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. თუ ხდება მითითება სხდომის ოქმზე, აუცილებლად უნდა მიეთითოს დროის ის მონაკვეთი, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვან გარემოებაზეა საუბარი. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს ორი ფაქტობრივი უსწორობის დასაფიქსირებელი გრაფა.

ორზე მეტი ფაქტობრივი უსწორობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა).

16. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (I)

ფაქტობრივი გარემოება არის ერთი კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა თქვენსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის სადავო ურთიერთობისას (მაგ. უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე). სააპელაციო სასამართლო ახალ ფაქტობრივ გარემოებას მიიღებს, თუ თქვენ, საპატიო მიზეზის გამო, არ შეგეძლოთ მასზე მითითება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნევის შემთხვევაში, იურიდიულად უნდა ამართლებდეს თქვენს სააპელაციო მოთხოვნას. თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ, რომელი ახალი ფაქტობრივი გარემოებები დაედოს საფუძვლად თქვენს სააპელაციო მოთხოვნას. ამავე დროს, არ მიუთითოთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა ან/და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე. ამგვარ ახალ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო არ მიიღებს. პარალელურად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები.

17. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (II)

ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ახალი ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული და თქვენთვის ცნობილი (მათ შორის, საქმეში არსებული) ყველა მტკიცებულების შესახებ. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. ახალი მტკიცებულების წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო საჩივარს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თქვენი სააპელაციო მოთხოვნის დაუსაბუთებლად მიჩნევისა და, შესაბამისად, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ალბათობის ხარისხს. პარალელურად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ახალი მტკიცებულებები. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დავაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

18. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (III)

ახალი ფაქტობრივი გარემოებები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი გარემოებები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია, გართულდება რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმა და მოვლენის არსის წვდომა, შესაძლებელია, ერთ პუნქტში რამდენიმე გარემოების მითითება. თითოეული ახალი ფაქტობრივი გარემოების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ გარემოების შინაარსს, მიუთითებლობის საპატიო მიზეზს და ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს პირველი ახალი ფაქტობრივი გარემოების დასაფიქსირებელი გრაფა. ერთზე მეტი ახალი ფაქტობრივი გარემოების მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა). ახალი ფაქტობრივი გარემოების შინაარსის გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

19. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები
გასაჩივრებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუკი არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. ერთი ან რამდენიმე აბსოლუტური საფუძვლის უბრალო მონიშვნის შემდეგ ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ მათი ნამდვილობა.

20. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები (I)
სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ (1)არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; (2)გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; (3)მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვა სახის არგუმენტებზე მითითებით. სამართლებრივი საფუძვლები იურიდიულად უნდა ამართლებდეს თქვენს სააპელაციო მოთხოვნას.

21. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები (II)
თითოეული სამართლის ნორმის დარღვევაზე უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. თითოეული სამართლის ნორმის დარღვევა მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

22. მტკიცებითი შუამდგომლობები
შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს. მტკიცებითი შუამდგომლობები შეეხება მტკიცებულებებს.

23. მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი
ზემოთ მოცემულია საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა მოწვევის გრაფები. მარცხენა მხარეს იწერება მოსაწვევი მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის სახელი და გვარი, შუა გრაფაში იმ ფაქტობრივ უსწორობათა ან/და ახალ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებსაც მიგაჩნიათ, რომ დაადასტურებენ აღნიშნული პირები, ხოლო მარჯვენა მხარეს - საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ იყვნენ ისინი წარმოდგენილი საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას ან რატომ გახდა აუცილებელი მათი ხელახალი გამოძახება.

24. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე
ამ გრაფაში იწერება შუამდგომლობები ახალ წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა დაშვების თაობაზე. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ მტკიცებულებას, რომელიც თქვენ შეგეძლოთ წარგედგინათ პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინეთ. ამასთან, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ ახალ მტკიცებულებებს მიიღებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

25. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე
თუკი საპატიო მიზეზის გამო, სააპელაციო საჩივარს ვერ ურთავთ ახალ მტკიცებულებას, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა მან მოგცეთ გონივრული ვადა მის წარსადგენად. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)წარმოდგენის შეუძლებლობის

საპატიო მიზეზი; (3)გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

26. შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე

თუკი საკუთარი ძალებით ვერ შეძელით ახალი მტკიცებულების მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულება იმყოფება, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს იგი. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)დავის იმ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებიც დგინდება ამ მტკიცებულებით; (3)მტკიცებულების მფლობელის სახელი და გვარი (სახელწოდება) და მისი საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი); (4)რა საფუძვლით გეთქვათ უარი მტკიცებულების გადმოცემაზე; (5)რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი, რომ მტკიცებულება თქვენ მიერ მითითებული პირის ხელთაა. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

27. სხვა სახის შუამდგომლობები

ამ გრაფაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ნებისმიერი სხვა სახის შუამდგომლობა (მაგ. საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე). თითოეული შუამდგომლობა უნდა ჩამოყალიბდეს ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და მის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

28. საჩივრის ფასი

საჩივრის (დავის საგნის) ფასი არის პროცესუალური ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სასამართლოს სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრაში. საჩივრის ფასი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ზომით ითხოვთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლას.

29. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟი არის შენატანი საქართველოს ბიუჯეტში, სასამართლო პროცესის წარმართვისათვის. სახელმწიფო ბაჟის ოდენობები დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლებით. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო სასამართლოში შეადგენს საჩივრის (დავის საგნის) ფასის 4%-ს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. ამასთან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკურ პირთათვის 5000 ლარს, ხოლო იურიდიულ პირთათვის - 7000 ლარს. ვალდებული ხართ, სააპელაციო საჩივარს უნდა დაურთოთ სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მიუთითოთ, რომ კანონი გათავისუფლებთ მისი გადახდისაგან, ან წარმოადგინოთ შუამდგომლობა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან/და გადახდის გადავადების მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს სააპელაციო საჩივარზე დადგინდება ხარვეზი და სასამართლო არ მიიღებს მას წარმოებაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრამდე.

30. შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე

შემთხვევები, როდესაც კანონი გათავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თქვენი

ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებებით), გაგათავისუფლოთ ბაჟის გადახდისაგან, შეგიმციროთ მისი ოდენობა ან გადაგივადოთ გადახდა. პროცესის სხვა ხარჯების (მაგ. ადვოკატის მოწვევა სახელმწიფოს ხარჯზე) შესახებ შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

31. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში, მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე). ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი საქმე მორიგებით დაამთავროს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

32. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დავის სწრაფად გადაწყვეტას, ზოგავს თქვენს დროს და სახსრებს. თუ თქვენ ითხოვთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ თქვენ ითხოვთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ არ წარმოგიდგენიათ ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ან წარმოადგინეთ დაუშვებელი ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თქვენი და მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ გეცნობებათ.

33. დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის და სხდომათა რაოდენობა

მოცემული გრაფის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ თანახმა ხართ, სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. პოზიციის დასაბუთებაში იგულისხმება საქმის ზეპირი განხილვის უშუალოდ თქვენთვის განკუთვნილი ნაწილი. თუ ირჩევთ 20-ზე მეტ წუთს ან 2-ზე მეტ სხდომას, ვალდებული ხართ, მიუთითოთ, თუ რაში მდგომარეობს თქვენი საქმის სპეციფიკური სირთულე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოსათვის სავალდებულო არაა თქვენ მიერ მითითებული დრო და სხდომათა რაოდენობა.

34. საქმის დაჩქარებული წესით განხილვა

დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია: (1)შეამოკლოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ თავისი შესაგებლის ან შეგებებული საჩივრის წარდგენის ვადა; (2)მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სააპელაციო საჩივარზე საკუთარი მოსაზრებების წარდგენისათვის; (3)არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა; (4)შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა.

35. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას.

ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

36. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, სააპელაციო საჩივარს დაურთოთ მასში მითითებული ყველა ახალი მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარმოდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. ახალი წერილობითი მტკიცებულებები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ ახალი წერილობითი მტკიცებულების დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). არ დაურთოთ სააპელაციო საჩივარს ერთხელ უკვე წარმოდგენილი საბუთები. ნორმატიული მასალის დართვა სააპელაციო საჩივარზე მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს სააპელაციო საჩივრის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

37. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს სააპელაციო საჩივარზე შესაძლოა დადგინდეს ხარვეზი და სასამართლო არ მიიღებს მას წარმოებაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრამდე.

38. სააპელაციო საჩივრის შეტანა

სააპელაციო საჩივარი უნდა შეიტანოთ იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

სააპელაციო შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო შესაგებელი
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

საქმე №		
	აპელანტის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მომხსენებელი მოსამართლის სახელი და გვარი

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სააპელაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები საჩივრისთვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:
დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*	

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ეთანხმებით თუ არა სააპელაციო მოთხოვნას?	
დიახ	☐
არა	☐
ნაწილობრივ	☐
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-8

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებზე

შენიშვნა-9 *შენიშვნა-10*

პირველ ფაქტობრივ უსწორობას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

მე-2 ფაქტობრივ უსწორობას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-11 *შენიშვნა-12* *შენიშვნა-13* *შენიშვნა-14*

პირველ ახალ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-15 *შენიშვნა-16* *შენიშვნა-17*

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-18

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-19

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-20

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სააპელაციო საჩივრის აღძვრას?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-21

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

შენიშვნა-22

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე

შენიშვნა-23 *შენიშვნა-24*

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-25

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-26

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-28

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-29

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-30

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-31

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☐		

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 *შენიშვნა-34*

დანართი 1:
დანართი 2:
ფურცლების საერთო რაოდენობა:

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
10 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში გსურთ დავის განხილვის დასრულება?
ერ სხდომაში რადგან

შენიშვნა-36

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-37

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-38

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააპელაციო შესაგებელი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

სააპელაციო შესაგებლის შენიშვნები ადმინისტრაციულ საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი სააპელაციო შესაგებელი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. მოწინააღმდეგე მხარე
მოწინააღმდეგე მხარე ხართ თქვენ (ყოფილი მოსარჩელე, მოპასუხე ან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი), ვის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებს აპელანტი.

2. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

3. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (მხოლოდ ადვოკატი). თუ სააპელაციო შესაგებლის შემოტანის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, სააპელაციო შესაგებელში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ სააპელაციო შესაგებელი შემოაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა სააპელაციო შესაგებელს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა (ორდერი), ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). ადვოკატი ვალდებულია, წარმოადგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც.

4. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

5. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი მოწინააღმდეგე მხარის ან მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

6. სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

შეგიძლიათ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოთ თქვენი საქმის ზეპირი მოსმენისას მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების ან/და თარჯიმნების მოწვევის თაობაზე. შუამდგომლობებს ეთმობა ცალკე გვერდი, ამ გრაფაში კი უნდა მიუთითოთ დასაბარებელ პირთა სტატუსი, მათი პირადი და საკონტაქტო მონაცემები.

7. შენიშვნა სასამართლოში დასაბარებელ პირთა სიაზე

ორი ან მეტი დასაბარებელი პირის მითითებისას, თითოეული მათგანის სტატუსი, პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

8. ეთანხმებით თუ არა სააპელაციო მოთხოვნას?

სააპელაციო მოთხოვნას შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ან დაეთანხმოთ სრულად, ან ნაწილობრივ. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევშია უფლებამოსილი ცნოს სასარჩელო მოთხოვნა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. სააპელაციო მოთხოვნის მიმართ სრული ან ნაწილობრივი თანხმობის გამოხატვა იწვევს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას სრულად ან ნაწილობრივ. შესაბამისად, სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. თუ სააპელაციო მოთხოვნას სრულად ეთანხმებით, შეგიძლიათ აღარ შეავსოთ ფორმის მე-3, მე-4 და მე-5 გვერდები. სააპელაციო მოთხოვნის ცნობაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში შესაგებლის ფორმა ექვემდებარება სრულად შევსებას. თუ სააპელაციო მოთხოვნას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი მართებულად და რა ნაწილში - უმართებულოდ.

9. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებზე (I)

სააპელაციო საჩივარი შესაძლებელია ემყარებოდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობას. წინამდებარე გრაფაში ვალდებული ხართ, დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების თითოეულ ფაქტობრივ უსწორობასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ აირჩიოთ ოთხი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „არ ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა"). თუ ფაქტობრივ უსწორობას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი მართებულად და რა ნაწილში უმართებულოდ. ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია, თუკი სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ უსწორობას სრულად ან ნაწილობრივ არ

ეთანხმებით, ან მიგაჩნიათ იგი საქმისთვის მნიშვნელობის არმქონედ. თქვენი პოზიცია ფაქტობრივ უსწორობაზე შესაძლოა ემყარებოდეს უკვე წარმოდგენილ ან ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, ან მათ უარყოფას. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. ახალი მტკიცებულების წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო შესაგებელს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის აპელანტის მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და შესაბამისად მისი დაკმაყოფლების ალბათობის ხარისხს.

10. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებზე (II)

პოზიცია ფაქტობრივ უსწორობებზე უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. მოსაზრებები ფაქტობრივ უსწორობებზე მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი უსწორობებისა და მათზე თქვენი მოსაზრებების ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ფაქტობრივ უსწორობებზე თითოეული მოსაზრების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოსაზრების შინაარსს და ამ მოსაზრების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. თუ ხდება მითითება სხდომის ოქმზე, აუცილებლად უნდა მიეთითოს დროის ის მონაკვეთი, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვან გარემოებაზეა საუბარი. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს ორი ფაქტობრივი უსწორობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი ფაქტობრივი უსწორობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

11. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე (I)

ფაქტობრივი გარემოება არის ერთი კონკრეტული მოვლენა, რომელიც მოხდა თქვენსა და აპელანტს შორის სადავო ურთიერთობისას (მაგ. უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე). წინამდებარე გრაფაში ვალდებული ხართ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ თითოეულ ახალ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ აირჩიოთ ხუთი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „არ ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „არ ვარ ინფორმირებული"; „საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა"). თუ ახალ ფაქტობრივ გარემოებას ნაწილობრივ ეთანხმებით ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რომელ ნაწილში მიგაჩნიათ იგი უდავოდ და რომელ ნაწილში - სადავოდ. ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია, თუკი სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით ან მიგაჩნიათ იგი საქმისთვის მნიშვნელობის არმქონედ.

12. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე (II)

თქვენი პოზიცია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებულ ახალი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით, ან მიგაჩნიათ იგი საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ, შესაძლოა ემყარებოდეს საქმეში არსებულ ან აპელანტის მიერ წარმოდგენილ ახალ მტკიცებულებებს, მათ უარყოფას, ახალ მტკიცებულებებს ან/და ახალ ფაქტობრივ გარემოებას. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. თუკი მიგაჩნიათ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული მტკიცებულება არაა დასაშვები, ამ მტკიცებულების გასწვრივ მიუთითეთ სტანდარტული ტექსტი („მტკიცებულება არ არის დასაშვები, წარმოვადგინე შესაბამისი

შუამდგომლობა”) და წარმოადგინეთ შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. ახალი მტკიცებულების წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო შესაგებელს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა”) და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სააპელაციო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილების ალბათობის ხარისხს.

13. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე (III)

თქვენი პოზიცია აპელანტის მიერ მითითებულ ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. პოზიციები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ახალი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათზე თქვენი პოზიციის ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. თითოეული პოზიციის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მის არგუმენტაციასა და ამ არგუმენტაციის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს პირველი პოზიციის დასაფიქსირებელი გრაფა. ერთზე მეტი პოზიციის მითითებისას, ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა). პოზიციის არგუმენტაციის თითოეულ გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

14. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე (IV)

შესაგებელში სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა ასახოთ თქვენი მოსაზრებები სააპელაციო საჩივარში მითითებულ თითოეულ ახალ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ თქვენ არ ეთანხმებით სააპელაციო საჩივარში მოყვანილ რომელიმე ახალ გარემოებას, ვალდებული ხართ მიუთითოთ ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში, გერთმევათ უფლება, შეასრულოთ ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

15. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (I)

გარდა პოზიციისა აპელანტის მიერ მითითებულ ახალ ფაქტობრივ გარემოებეზე, შეგიძლიათ თავად მიუთითოთ ახალი ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლო ახალ ფაქტობრივ გარემოებას მიიღებს, თუ თქვენ საპატიო მიზეზის გამო არ შეგეძლოთ მასზე მითითება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ მიერ მითითებული ახალი ფაქტობრივი გარემოებებით უნდა დასტურდებოდეს სააპელაციო მოთხოვნის არამართებულობა. თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ, რომელი ახალი ფაქტობრივი გარემობები დაედოს საფუძვლად თქვენს სააპელაციო შესაგებელს. ამავე დროს, არ მიუთითოთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც საქმისათვის არ აქვთ მნიშვნელობა ან/და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე. ამგვარ ახალ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლო არ მიიღებს. პარალელურად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები.

16. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (II)

ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ახალი ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად ვალდებული ხართ, მიუთითოთ თქვენს ხელთ არსებული და თქვენთვის ცნობილი (მათ შორის, საქმეში არსებული) ყველა მტკიცებულების შესახებ. ამასთან, თითოეულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მიუთითეთ იმ გვერდზე, მუხლზე, პუნქტზე, აბზაცსა თუ წინადადებაზე, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული. ახალი მტკიცებულების

წარმოდგენისას, ასევე, თუ საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ სააპელაციო შესაგებელს დაურთოთ იგი, ვალდებული ხართ, ამ მტკიცებულების დასახელების გასწვრივ მიუთითოთ სტანდარტული ტექსტი („წარმოვადგინე შუამდგომლობა") და წარმოადგინოთ შესაბამისი შუამდგომლობა მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სააპელაციო მოთხოვნის დასაბუთებულად მიჩნევისა და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფლების ალბათობის ხარისხს. პარალელურად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ახალი მტკიცებულებები. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დავაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

17. ახალი ფაქტობრივი გარემოებები (III)

ახალი ფაქტობრივი გარემოებები უნდა ჩამოაყალიბოთ ნათლად და ლაკონურად. ფაქტობრივი გარემოებები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია, გართულდება რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმა და მოვლენის არსის წვდომა, შესაძლებელია, ერთ პუნქტში რამდენიმე გარემოების მითითება. თითოეული ახალი ფაქტობრივი გარემოების ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ გარემოების შინაარსს, მიუთითებლობის საპატიო მიზეზს და ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ნუსხას. მტკიცებულებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცებით და ინომრება ანბანის მიხედვით (ა, ბ, გ, ...). მოცემულ ფორმაში არსებობს პირველი ახალი ფაქტობრივი გარემოების დასაფიქსირებელი გრაფა. ერთზე მეტი ახალი ფაქტობრივი გარემოების მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. სააპელაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ახალი ფაქტობრივი გარემოების შინაარსის გრაფაში სიმბოლოთა რაოდენობა შეზღუდულია (მაქსიმუმ 1200 სიმბოლო - 15 ხაზი).

18. საქმის წარმოების შეწყვეტა

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. საქმის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ შეწყვიტოს საქმის წარმოება სააპელაციო საჩივარზე. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26^2-ე მუხლებში.

19. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. დაინტერესებული პირის სახელით სააპელაციო საჩივარი შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლში.

20. საქმის წარმოების შეჩერება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მხარე იმყოფება ხანგძლივ სამსახურეობრივ მივლინებაში), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ საქმის წარმოება შეაჩეროს. საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე და 280-ე მუხლებში.

21. შეგებებული სააპელაციო საჩივარი

შეგებებული სააპელაციო საჩივარი შესაგებელთან ერთად სააპელაციო საჩივრისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენით თქვენ არა მხოლოდ პასიურად იცავთ თავს სააპელაციო საჩივრისაგან, არამედ იმავდროულად თქვენს დამოუკიდებელ

სააპელაციო მოთხოვნებს აყალიბებთ. სააპელაციო საჩივრის გადმოცემიდან 10 დღის ვადაში უფლებამოსილი ხართ, წარმოადგინოთ შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული გაქვთ თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

22. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად თუკი არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთ ან რამდენიმე აბსოლუტურ საფუძველთან დაკავშირებით.

23. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე (I)

სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: (1)არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; (2)გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; (3)მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვა სახის არგუმენტებზე მითითებით. თქვენი მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ სამართლის ნორმის დარღვევაზე უნდა აბათილებდეს სააპელაციო მოთხოვნას.

24. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე (II)

თქვენი მოსაზრებები სამართლის ნორმათა დარღვევასთან დაკავშირებით უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. თითოეული მოსაზრება ნორმის დარღვევაზე მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ნორმათა დარღვევებისა და მათზე თქვენი მოსაზრებების ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

25. მტკიცებითი შუამდგომლობები

შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიუთითოთ მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს. მტკიცებითი შუამდგომლობები შეეხება მტკიცებულებებს.

26. მოწმე, ექპერტი და სპეციალისტი

ზემოთ მოცემულია საქმის ზეპირ მოსმენაზე მოწმეთა, ექსპერტთა და სპეციალისტთა მოწვევის გრაფები. მარცხენა მხარეს იწერება მოსაწვევი მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის სახელი და გვარი, შუა გრაფაში იმ ფაქტობრივ უსწორობათა ან/და ახალ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებსაც მიგაჩნიათ, რომ დაადასტურებენ ან უარყოფენ აღნიშნული პირები, ხოლო მარჯვენა მხარეს - საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ იყვნენ ისინი წარმოდგენილი საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას ან რატომ გახდა აუცილებელი მათი ხელახალი გამოძახება.

27. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად მიჩნევის თაობაზე
ამ გრაფაში იწერება შუამდგომლობები ახალ წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა დაშვების თაობაზე. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ მტკიცებულებას, რომელიც თქვენ შეგეძლოთ წარგედგინათ პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინეთ. ამასთან, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ ახალ მტკიცებულებებს მიიღებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

28. შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე
თუკი საპატიო მიზეზის გამო, სააპელაციო შესაგებელს ვერ დაურთავთ ახალ მტკიცებულებას, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა მან მოგცეთ გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)წარმოდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზი; (3)გონივრული ვადა მის წარმოსადგენად. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

29. შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე
თუკი საკუთარი ძალებით ვერ შეძელით ახალი მტკიცებულების მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულება იმყოფება, შეგიძლიათ იშუამდგომლოთ სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს იგი. ვალდებული ხართ, შუამდგომლობაში მიუთითოთ: (1)მტკიცებულების დასახელება; (2)დავის იმ ფაქტობრივ გარემოებათა ნომრები, რომლებიც დგინდება ამ მტკიცებულებით; (3)მტკიცებულების მფლობელის სახელი და გვარი (სახელწოდება) და მისი საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი); (4)რა საფუძვლით გეთქვათ უარი მტკიცებულების გადმოცემაზე; (5)რას ეფუძნება თქვენი ვარაუდი, რომ მტკიცებულება თქვენ მიერ მითითებული პირის ხელთაა. თითოეულ ამგვარ მტკიცებულებასთან მიმართებით შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

30. სხვა სახის შუამდგომლობები
ამ გრაფაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ნებისმიერი სხვა სახის შუამდგომლობა (მაგ. საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე). თითოეული შუამდგომლობა უნდა მიეთითოს ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და მის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

31. მოსამართლის აცილება
შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მოსამართლე თავადაა დავის მხარე), შეგიძლიათ განაცხადოთ აცილება საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ. მოსამართლის აცილების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 30-ე, 31-ე მუხლებსა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლში.

32. მორიგება
დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში, მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე). ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი საქმე მორიგებით დაამთავროს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

33. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, სააპელაციო შესაგებელს დაურთოთ მასში მითითებული ყველა ახალი მტკიცებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარმოდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ მტკიცებით შუამდგომლობათა ნაწილში. ახალი წერილობითი მტკიცებულებები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი მტკიცებულების დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). არ დაურთოთ სააპელაციო შესაგებელს ერთხელ უკვე წარმოდგენილი საბუთები. ნორმატიული მასალის დართვა სააპელაციო შესაგებელზე მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს სააპელაციო შესაგებლის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

34. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ სააპელაციო შესაგებელისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

35. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დავის სწრაფად გადაწყვეტას, ზოგავს თქვენს დროს და სახსრებს. თუ აპელანტი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ აპელანტი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ არ წარმოუდგენია ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ან წარმოადგინა დაუშვებელი ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მისი და თქვენი თანხმობით საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ გეცნობებათ.

36. დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის და სხდომათა რაოდენობა

მოცემული გრაფის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ თანახმა ხართ, სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. პოზიციის დასაბუთებაში იგულისხმება საქმის ზეპირი განხილვის უშუალოდ თქვენთვის განკუთვნილი ნაწილი. თუ ირჩევთ 20 ან მეტ წუთს, ან/და 2 ან მეტ სხდომას, ვალდებული ხართ, მიუთითოთ, თუ რაში მდგომარეობს თქვენი საქმის სპეციფიკური სირთულე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოსათვის სავალდებულო არაა თქვენ მიერ მითითებული დრო და სხდომათა რაოდენობა.

37. საქმის დაჩქარებული წესით განხილვა

დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია: (1)შეამოკლოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ თავისი შესაგებლის ან შეგებებული საჩივრის წარდგენის ვადა; (2)მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სააპელაციო საჩივარზე საკუთარი მოსაზრებების წარდგენისათვის; (3)არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა; (4)შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა.

38. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

კასატორი: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*
ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

კასატორის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-5*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება:	
მომხსენებელი მოსამართლე:	
საქმის ნომერი:	
მიღების თარიღი:	

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:	
სრულად	☐
ნაწილობრივ	☐
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-10

საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

შენიშვნა-11

კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:	
☐	საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
☐	გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
☐	გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
☐	გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
☐	გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
☐	საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება:

დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

შენიშვნა-13 *შენიშვნა-14*

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-15 *შენიშვნა-16*

1. პრეტენზია

დასაბუთება:

2. პრეტენზია

დასაბუთება:

3. პრეტენზია

დასაბუთება:

შუამდგომლობები

შენიშვნა-17 *შენიშვნა-18*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

საჩივრის ფასი *შენიშვნა-19*	—	ლარი
სახელმწიფო ბაჟი *შენიშვნა-20*	—	ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐ არა ☐
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).
5.

შენიშვნა-21

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-22

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-24 *შენიშვნა-25*

დანართი 1:

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	☐	☐
2.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☐	☐
3.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☐	☐
4.	მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☐	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	☐	☐
7.	მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	☐	☐
8.	მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☐	☐
9.	საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	☐	☐
10.	საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☐	☐
11.	საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☐
12.	საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☐	☐
13.	საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☐	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკასაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-26

საკასაციო საჩივრის შენიშვნები ადმინისტრაციულ საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი საკასაციო საჩივარი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. კასატორი
კასატორი ხართ თქვენ (ყოფილი აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე ან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი), ვინც ასაჩივრებთ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2. კასატორის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)
სასამართლო უფლებამოსილია, საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ თქვენს ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე). მისამართის შეცვლის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ სასამართლოს.

3. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტრობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

4. კასატორის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (მხოლოდ ადვოკატი). თუ საკასაციო საჩივრის აღძვრის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, საკასაციო საჩივარში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი და მოწინააღმდეგე მხარის, ასევე,

წარმომადგენლის მონაცემები. თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი და მოწინააღმდეგე მხარის, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა საკასაციო საჩივარს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა (ორდერი), ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). ადვოკატი ვალდებულია, წარმოადგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც.

5. მოწინააღმდეგე მხარე

მოწინააღმდეგე მხარე არის ყოფილი აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე ან/და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი, ვის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებთ საკასაციო წესით.

6. მოწინააღმდეგე მხარის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

სასამართლო უფლებამოსილია, საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს, თუ თქვენ არ მიუთითებთ ან არასწორად მიუთითებთ მოწინააღმდეგე მხარის ძირითად მისამართზე (ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე).

7. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

8. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი კასატორის, კასატორის წარმომადგენლის ან მოწინააღმდეგე მხარის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. საკასაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არაა სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

9. გასაჩივრებული გადაწყვეტილება

ვალდებული ხართ, ამ გრაფაში მიუთითოთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება, კერძოდ, მიმღები სასამართლო, მომხსენებელი მოსამართლე, საქმის ნომერი და გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება გახდეს სასამართლოს ის განჩინებებიც, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

10. გადაწყვეტილების გასაჩივრება

ვალდებული ხართ, მიუთითოთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სრულად ასაჩივრებთ თუ ნაწილობრივ. ნაწილობრივი გასაჩივრებისას მიუთითეთ სარეზოლუციო ნაწილის იმ პუნქტებზე რომელთაც სადავოდ ხდით და დეტალურად დააზუსტეთ საჩივრის მოცულობა თითოეულ ამ პუნქტთან მიმართებით, რადგან საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს (გააუქმოს) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც თქვენ მოითხოვთ.

11. საკასაციო მოთხოვნა

ამ გრაფაში უნდა მიუთითოთ, თუ კონკრეტულად რას ითხოვთ. საკასაციო მოთხოვნა შეიძლება იყოს: (1)გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება; (2)გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება; (3)გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებული გადაწყვეტილების ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება; (4)გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებული გადაწყვეტილების ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება. გაითვალისწინეთ, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია.

12. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუკი არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. ერთი ან რამდენიმე აბსოლუტური საფუძვლის უბრალო მონიშვნის შემდეგ ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ მათი ნამდვილობა.

13. დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (I)

სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: (1)არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; (2)გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; (3)მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვაზე მითითებით. სამართლებრივი საფუძველები იურიდიულად უნდა ამართლებდეს თქვენს საკასაციო მოთხოვნას.

14. დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (II)

თითოეული სამართლის ნორმის დარღვევა უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. თითოეული სამართლის ნორმის დარღვევა მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად არაბული ციფრებით.

15. პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე (I)

სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე (II)

თითოეული პრეტენზია ჩამოაყალიბეთ ნათლად და ლაკონურად. პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. ერთ პუნქტად რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით პრეტენზიის მითითება შეიძლება, თუ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ისინი ერთ პუნქტშია მოქცეული. თითოეული ახალი პრეტენზიის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ პრეტენზიის შინაარსს და მის დასაბუთებას. თუ ხდება მითითება სხდომის ოქმზე, აუცილებლად უნდა მიეთითოს დროის ის მონაკვეთი, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვან გარემოებაზეა საუბარი. მოცემულ ფორმაში არსებობს სამი პრეტენზიის დასაფიქსირებელი გრაფა. სამზე მეტი პრეტენზიის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. საკასაციო საჩივრის სანიმუშო ფორმა).

17. შუამდგომლობები (I)

შუამდგომლობა არის თქვენი მიმართვა სასამართლოსადმი კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიუთითოთ მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს.

18. შუამდგომლობები (II)

თითოეული შუამდგომლობა უნდა მიეთითოს ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და ამ მოთხოვნის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

19. საჩივრის ფასი

საჩივრის (დავის საგნის) ფასი არის პროცესუალური ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სასამართლოს საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრაში. საჩივრის ფასი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ზომით ითხოვთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლას.

20. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟი არის შენატანი საქართველოს ბიუჯეტში, სასამართლო პროცესის წარმართვისათვის. სახელმწიფო ბაჟის ოდენობები დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლებით. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო სასამართლოში შეადგენს საჩივრის (დავის საგნის) ფასის 5%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკურ პირთათვის 6000 ლარს, ხოლო იურიდიულ პირთათვის - 8000 ლარს. ვალდებული ხართ, საკასაციო საჩივარს დაურთოთ სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მიუთითოთ, რომ კანონი გათავისუფლებთ მისი გადახდისაგან, ან წარმოადგინოთ შუამდგომლობა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან/და გადახდის გადავადების მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენს საკასაციო საჩივარზე დადგინდება ხარვეზი და სასამართლო არ მიიღებს მას წარმოებაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრამდე.

21. შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე

შემთხვევები, როდესაც კანონი გათავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 და ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თქვენი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებებით), გაგათავისუფლოთ ბაჟის გადახდისაგან, შეგიმციროთ მისი ოდენობა ან გადაგივადოთ გადახდა. პროცესის სხვა ხარჯების (მაგ. ადვოკატის მოწვევა სახელმწიფოს ხარჯზე) შესახებ შუამდგომლობები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით.

22. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე). ადმინისტრაციული

ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი საქმე მორიგებით დაამთავროს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

23. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.

24. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, საკასაციო საჩივარს დაურთოთ მასში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ შუამდგომლობათა ნაწილში. წერილობითი დოკუმენტები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი დოკუმენტის დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). არ დაურთოთ საკასაციო საჩივარს ერთხელ უკვე წარმოდგენილი საბუთები. ნორმატიული მასალის დართვა მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს საკასაციო საჩივრის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

25. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ საკასაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს საკასაციო საჩივარზე შესაძლოა დადგინდეს ხარვეზი და სასამართლო არ მიიღებს მას წარმოებაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრამდე.

26. საკასაციო საჩივრის შეტანა

საკასაციო საჩივარი უნდა შეიტანოთ იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ სააპელაციო სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საჩივარსა და მთლიანად საქმეს.

საკასაციო შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

საქმე №		
	კასატორის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მომხსენებელი მოსამართლის სახელი და გვარი

მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-1*

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი საკასაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები საჩივრისთვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge

სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

ეთანხმებით თუ არა საკასაციო მოთხოვნას (განაცხადს)?	
დიახ	☐
არა	☐
ნაწილობრივ	☐
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-6

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-7

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-8

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-9

ხომ არ აპირებთ შეგებებული საკასაციო საჩივრის აღძვრას?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-10

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასაციის მიზეზებზე (საფუძვლებზე)

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

შენიშვნა-11

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ დარღვევებზე, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-12 *შენიშვნა-13*

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ პრეტენზიებზე

შენიშვნა-14 *შენიშვნა-15*

პირველ პრეტენზიას - ვეთანხმები

დასაბუთება:

მე-2 პრეტენზიას - ვეთანხმები

დასაბუთება:

მე-3 პრეტენზიას - ვეთანხმები

დასაბუთება:

შუამდგომლობები

შენიშვნა-16 *შენიშვნა-17*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?		
დიახ	☐	ვის მიმართ? რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-18

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☐	რადგან

შენიშვნა-19

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-20 *შენიშვნა-21*

დანართი 1:
დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-22

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

		დდ/თთ/201 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკასაციო შესაგებელი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საკასაციო შესაგებლის შენიშვნები ადმინისტრაციულ საქმეზე

- Ÿ გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა შენიშვნას. შენიშვნები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორცაა ფორმაში.
- Ÿ სასამართლოს თანამშრომელი ვალდებულია, აგიხსნათ ფორმის შევსების წესი და მოგაწოდოთ პროცედურული ინფორმაცია, მაგრამ მას არ შეუძლია სამართლებრივი რჩევის მოცემა. ასეთი რჩევისათვის (მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება თქვენი საკასაციო შესაგებელი), უნდა მიმართოთ ადვოკატს.
- Ÿ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სასამართლოში ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბროშურათა საშუალებით.
- Ÿ ფორმაში გამოყენებულია შემდეგი შრიფტები: LitNusx-ი, LitMtavrPS-ი და Times New Roman-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

1. მოწინააღმდეგე მხარე
მოწინააღმდეგე მხარე ხართ თქვენ (ყოფილი აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე ან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი), ვის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებს კასატორი.

2. ალტერნატიული მისამართი
,,ალტერნატიული მისამართის" ველში მიეთითება ის ადგილი, რომელსაც ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თანადროულად იყენებთ ჩვეულებრივ საცხოვრებლად (საქმიანობის ადგილად) და რომელზეც პერმანენტულად იქნება შესაძლებელი თქვენთან დაკავშირება.

3. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი
შესაძლებელია გყავდეთ კანონისმიერი (მაგ. მშობლები) ან გარიგებისმიერი წარმომადგენელი (მხოლოდ ადვოკატი). თუ საკასაციო შესაგებლის შემოტანის მომენტისათვის აყვანილი გყავთ წარმომადგენელი, საკასაციო შესაგებელში უნდა მიუთითოთ როგორც თქვენი, ასევე, წარმომადგენლის მონაცემები. თუ საკასაციო შესაგებელი შემოაქვს თქვენს წარმომადგენელს, მაშინ მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი, ასევე, თქვენი (მარწმუნებლის) მონაცემები. ამავე დროს, წარმომადგენელმა საკასაციო შესაგებელს უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობა, მინდობილობა (ორდერი), ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). ადვოკატი ვალდებულია, წარმოადგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობაც.

4. საკონტაქტო პირი

საკონტაქტო პირად შეგიძლიათ მიუთითოთ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე, რომელიც არ მონაწილეობს დავაში, მაგრამ, ნათესაური, მეგობრული თუ სხვა სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეძლებს დაეხმაროს სასამართლოს თქვენთან დაკავშირებაში. საკონტაქტო პირის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა შედის თქვენსავე ინტერესში, რადგან ხელს უწყობს დავის დროულ განხილვას.

5. პირველი გვერდის ზოგადი შენიშვნა

ორი ან მეტი მოწინააღმდეგე მხარის ან მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის არსებობისას, თითოეული მათგანის პირადი და საკონტაქტო მონაცემები უნდა დაიწეროს ქვეშმიწერით და დაინომროს თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (იხ. საკასაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა). ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის და სამუშაო ადგილის მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა ხელს უწყობს თქვენს დავაზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

6. ეთანხმებით თუ არა საკასაციო მოთხოვნას (განაცხადს)?

საკასაციო მოთხოვნას შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ან დაეთანხმოთ სრულად, ან ნაწილობრივ. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი ცნოს სასარჩელო მოთხოვნა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. საკასაციო მოთხოვნის მიმართ სრული ან ნაწილობრივი თანხმობის გამოხატვა იწვევს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას სრულად ან ნაწილობრივ, შესაბამისად, სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. თუ საკასაციო მოთხოვნას სრულად ეთანხმებით, შეგიძლიათ აღარ შეავსოთ ფორმის მე-3 და მე-4 გვერდები. საკასაციო მოთხოვნის ცნობაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში შესაგებლის ფორმა ექვემდებარება სრულად შევსებას. თუ საკასაციო მოთხოვნას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი მართებულად და რა ნაწილში - უმართებულოდ.

7. საქმის წარმოების შეწყვეტა

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. საქმის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ შეწყვიტოს საქმის წარმოება საკასაციო საჩივარზე. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26^2-ე მუხლებში.

8. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. დაინტერესებული პირის სახელით საკასაციო საჩივარი შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლში.

9. საქმის წარმოების შეჩერება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მხარე იმყოფება ხანგძლივ სამსახურეობრივ მივლინებაში), შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ საქმის წარმოება შეაჩეროს. საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე და 280-ე მუხლებში. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა ხდება საერთო წესით.

10. შეგებებული საკასაციო საჩივარი

შეგებებული საკასაციო საჩივარი შესაგებელთან ერთად საკასაციო საჩივრისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. თუმცა, შეგებებული საკასაციო საჩივრის წარდგენით თქვენ არა მხოლოდ პასიურად იცავთ თავს საკასაციო საჩივრისაგან, არამედ იმავდროულად თქვენს დამოუკიდებელ საკასაციო მოთხოვნებს აყალიბებთ.

საკასაციო საჩივრის გადმოცემიდან 10 დღის ვადაში უფლებამოსილი ხართ, წარმოადგინოთ შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული გაქვთ თუ არა უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის შეტანა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია.

11. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუკი არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია კასატორის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთ ან რამდენიმე აბსოლუტურ საფუძველთან მიმართებით.

12. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ დარღვევებზე, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (I)

სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: (1)არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; (2)გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; (3)მართალია, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. ნორმათა შინაარსი გამომდინარეობს სამართლებრივი აქტებიდან, ჩვეულებებიდან და სხვ. ნორმათა შინაარსი შეგიძლიათ განმარტოთ თავისუფლად, თქვენს მოსაზრებებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, უცხოურ კანონმდებლობასა და სხვაზე მითითებით. თქვენი მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ სამართლის ნორმის დარღვევაზე უნდა აბათილებდეს საკასაციო მოთხოვნას. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი მოსაზრებები შეგიძლიათ წარადგინოთ მხოლოდ იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რა საფუძვლითაც დაუშვა საჩივარი საკასაციო სასამართლომ.

13. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ დარღვევებზე, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (II)

თქვენი მოსაზრებები სამართლის ნორმათა დარღვევასთან დაკავშირებით უნდა მიუთითოთ ნათლად და ლაკონურად. თითოეული მოსაზრება ნორმის დარღვევაზე მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. გაითვალისწინეთ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ნორმათა დარღვევებისა და მათზე თქვენი მოსაზრებების ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

14. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ პრეტენზიებზე (I)

სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები კასატორის მიერ მითითებულ პრეტენზიებზე (II)

წინამდებარე გრაფაში ვალდებული ხართ, დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ თითოეულ პრეტენზიასთან დაკავშირებით. შეგიძლიათ აირჩიოთ ოთხი პოზიციიდან ერთ-ერთი („ვეთანხმები"; „არ ვეთანხმები"; „ნაწილობრივ ვეთანხმები"; „საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა"). თუ პრეტენზიას ნაწილობრივ ეთანხმებით, ვალდებული ხართ, დააკონკრეტოთ, თუ რა ნაწილში მიგაჩნიათ იგი დასაბუთებულად და რა ნაწილში - დაუსაბუთებლად. ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია, თუკი საკასაციო საჩივარში მითითებულ პრეტენზიას სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმებით, ან მიგაჩნიათ იგი საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ. გაითვალისწინეთ, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიებისა და მათზე თქვენი პოზიციის ნუმერაცია უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

თითოეული პოზიციის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მის დასაბუთებას. თუ ხდება მითითება სხდომის ოქმზე, აუცილებლად უნდა მიეთითოს დროის ის მონაკვეთი, სადაც თქვენთვის მნიშვნელოვან გარემოებაზეა საუბარი. მოცემულ ფორმაში არსებობს პირველი სამი პოზიციის დასაფიქსირებელი გრაფა. სამზე მეტი პოზიციის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი (იხ. საკასაციო შესაგებლის სანიმუშო ფორმა).

16. შუამდგომლობები (I)

შუამდგომლობა არის სასამართლოსადმი თქვენი მიმართვა კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს შუამდგომლობაში დასმულ საკითხთან უშუალო კავშირში მყოფ გარემოებებს.

17. შუამდგომლობები (II)

თითოეული შუამდგომლობა უნდა მიეთითოს ნათლად და ლაკონურად. მოთხოვნები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით. თითოეული მოთხოვნის ტექსტი უნდა შეიცავდეს უშუალოდ მოთხოვნის შინაარსს და ამ მოთხოვნის არგუმენტაციას. მოცემულ ფორმაში არსებობს ორი შუამდგომლობის დასაფიქსირებელი გრაფა. ორზე მეტი შუამდგომლობის მითითებისას ვალდებული ხართ, დაიცვათ ფორმის შევსების იგივე სტილი.

18. მოსამართლის აცილება

შესაბამისი საფუძვლის მითითებით (მაგ. მოსამართლე თავადაა დავის მხარე), შეგიძლიათ განაცხადოთ აცილება საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ. მოსამართლის აცილების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 30-ე, 31-ე მუხლებსა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლში.

19. მორიგება

დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქმის მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. თანხმობის შემთხვევაში, მიუთითეთ, თუ რა პირობებით ხართ თანახმა მორიგებაზე. უარის შემთხვევაში ვალდებული ხართ, დაასაბუთოთ თქვენი უარი (მიუთითოთ უარის მოტივებზე). ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი საქმე მორიგებით დაამთავროს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

20. თანდართული საბუთები (I)

ვალდებული ხართ, საკასაციო შესაგებელს დაურთოთ მასში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, საპატიო მიზეზის გამო, ვერ ახერხებთ მათ წარდგენას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითეთ შუამდგომლობათა ნაწილში. წერილობითი დოკუმენტები, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წერილობითი დოკუმენტის დედანი უცხო ენაზეა შედგენილი, იგი უნდა ითარგმნოს ქართულად (აფხაზეთში შესაძლებელია აფხაზური თარგმანიც). არ დაურთოთ საკასაციო შესაგებელს ერთხელ უკვე წარდგენილი საბუთები. ნორმატიული მასალის დართვა საკასაციო შესაგებელზე მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებშია გამართლებული. თანდართული საბუთები იწერება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად, არაბული ციფრებით (მაგ. დანართი 1, დანართი 2, ...). თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობაზე, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობაზე. თითოეულ თანდართულ საბუთს ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა წააწეროთ - ,,დანართი X". დანართის ნომერი უნდა ემთხვეოდეს საკასაციო შესაგებლის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.

21. თანდართული საბუთები (II)

სასამართლოს უნდა წარუდგინოთ საკასაციო შესაგებლისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

22. ელექტრონული ფოსტა

შეგიძლიათ განაცხადოთ თანხმობა, რომ წერილობითი მასალები გადმოგეგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო დროულ მოწოდებასა და კომფორტულ ხელმისაწვდომობას. ამავე დროს, სასამართლოს სპეციალური პროგრამა დროის რეალურ რეჟიმში მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს საქმეზე განხორციელებული ყველა არსებითი ცვლილების თაობაზე.